პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 282 (10979)

შაბათი, 30 ნოემბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

სასოფლო საბჭო

სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლებში. კოლმეურნეები ძალის დაუზოგავად შრომობენ, რათა ამაღლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. ამ თავდადებულ შრომას თავისი ნაყოფი მოაქვს. საკოლმეურნეო ბეღლები ივსება დოვლათით, მტკიცდება კოლმეურნეობათა ეკონომიკა, იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი, სულ უფრო უმჯობესდება სოფლის შემოქმედებითი შრომის ადამიანთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

თანამედროვე სოციალისტური სოფლის მრავალდარგოვანი მეურნეობის ენარიანად გაძღოლა დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებს სასოფლო საბჭოებს, რომლებიც ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან რგოლს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

უკანასკნელ წლებში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სასოფლო საბჭოების როლის ამაღლებლად. მოხდა სასოფლო საბჭოების გამსხვილება, გაიზარდა საბჭოებში ასარჩევი დეპუტატების რიცხვი და სხვ. განხორციელებულმა ღონისძიებებმა დადებითად იმოქმედა საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ახლა ისინი უფრო კონკრეტულად და ქმედითად ხელმძღვანელობენ სოფლად სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, მეტ ინიციატივას იჩენენ სოფლისათვის არსებითი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაში.

მაგრამ მთელი რიგი სასოფლო საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი სასოფლო საბჭოებიც არიან, რომლებიც მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მინდობილ საქმეს, უნარიანად ვერ ხელმძღვანელობენ სოფლის მრავალფეროვან ცხოვრებას. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი სუსტად იბრძვის იმისათვის, რომ განამტკიცოს კავშირი ამომრჩევლებთან, სუსტად განახორციელოს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმითაც, რომ უკანასკნელ პერიოდამდე მთელი სისრულით არ იყო განსაზღვრული სასოფლო საბჭოების უფლება-მოვალეობანი. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა სასოფლო საბჭოების მოძველებული დებულების შეცვლა ახლით, რომელიც შეესაბამება საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპს და რომელშიც ასახვას პოულობს სოფლად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე მდგომი ახალი ამოცანები.

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სასოფლო საბჭოების ახალი დებულება, რომელშიც სრულად არის გადმოცემული სასოფლო საბჭოების ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი.

სასოფლო საბჭოების ამოცანაა კონკრეტულად, ოპერატიულად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ სოფლად სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, დარაზმონ სოფლის მშრომელები სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

ახალი დებულებით სასოფლო საბჭოებს დიდი უფლებები ენიჭებათ მათ წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად. მათ შეუძლიათ პერიოდულად მოისმინონ კოლმეურნეობების გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის და სხვა საკითხებზე, შეაჩერონ კოლმეურნეობათა გამგეობების და საერთო კრებების იმ გადაწყვეტილებათა შესრულება, რომლებიც არ შეესაბამება კანონებს.

გაფართოვდა სასოფლო საბჭოების უფლებები მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. ახლა ისინი კონტროლს უწევენ თავიანთ ტერიტორიაზე მყოფ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობას, თვალყურს ადევნებენ იმ საწარმო-დაწესებულებების საქმიანობას, რომლებიც უშუალოდ მათ არ ექვემდებარებიან. სასოფლო საბჭოებს აგრეთვე შეუძლიათ მოისმინონ ასეთ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოხსენებები და ურჩიონ ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დებულება უფლებას ანიჭებს სასოფლო საბჭოებს სოფლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის გადამეტებით შესრულების შემთხვევაში ბიუჯეტს ზევით შემოსული სახსრები გამოიყენონ სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობათა დასაფინანსებლად.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სოფლად ხელმძღვანელობენ თავიანთი დაქვემდებარების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას, ამტკიცებენ ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, კონტროლს უწევენ საკოლმეურნეო კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების მუშაობას. დებულებაში განსაზღვრულია აგრეთვე სასოფლო საბჭოების უფლება-მოვალეობანი სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის ხელმძღვანელობის საქმეში და სხვ.

ახალი დებულება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი ხელს შეუწყობს სასოფლო საბჭოების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მათი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

საბჭოების ძალა მასებთან განუყრელ კავშირშია. ამიტომ სასოფლო საბჭოები უნდა იბრძოდნენ ამომრჩევლებთან კავშირის განსამტკიცებლად, იზიდავდნენ მშრომელთა ფართო მასებს სოფლის მართვის საქმეში, იწვევდნენ სესიებს დადგენილ ვადაში.

მოსახლეობასთან საბჭოების კავშირის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატების ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე. დეპუტატებს მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, რეგულარულად აბარებდნენ მათ ანგარიშს, განუმარტავდნენ მოსახლეობას საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და აქტიურად მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

სასოფლო საბჭოების პასუხსაგები ამოცანაა ენერგიულად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების პირნათლად განხორციელებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

საგაზეთო-საგამომცემლო ტრესტის მეთაურთან ვ. რ. ჰერსტთან

საგაზეთო ტრესტის „ჰერსტ ნიუსპეიპერსის" მთავარმა რედაქტორმა და მფლობელმა, აგრეთვე საინფორმაციო სააგენტოს „ინტერნეიშენლ ნიუს სერვისის" მფლობელმა ვ. რ. ჰერსტმა-უმცროსმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართა თხოვნით მიეღო იგი საუბრისათვის.

22 ნოემბერს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ვ. რ. ჰერსტი და მისი თანმხლები ამერიკელი ჟურნალისტები ფ. კონიფი და რ. კონსიდაინი და საუბარი ჰქონდა მათთან.

ქვემოთ ქვეყნდება ამერიკელ ჟურნალისტთა კითხვები და ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ამ კითხვებზე.

ვ. რ. ჰერსტი. ეს იგივე ოთახია, რომელშიც მე სამი წლის წინათ უკვე ვიყავი?

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, ჩვენ მალე როდი ვიცვლით ბინებს, ისევე როგორც არ ვცვლით ჩვენს პოლიტიკას.

ვ. რ. ჰერსტი. მე შევამჩნიე, რომ თქვენ სწრაფად უცვლით სახეს ქალაქს, იგი უკეთესი გამხდარა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. შემდეგში მოსკოვი კიდევ უფრო სწრაფად შეიცვლის სახეს.

ფ. კონიფი. ეს მეც შევამჩნიე. თქვენ ძალიან ბევრი რამ გაგიკეთებიათ ჩვენი აქ ყოფნის შემდეგ გასულ სამ წელიწადში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენც მიგვაჩნია, რომ ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ადამიანებმა ბევრი რამ გააკეთეს. შემდგომ სამ წელიწადში ჩვენში გაცილებით მეტი გაკეთდება.

ვ. რ. ჰერსტი. და განსაკუთრებით შესამჩნევია წარმატებანი ქალაქის მშენებლობაში, როცა მოსკოვში შემოდიხარ ვნუკოვოს აეროდრომიდან, სადაც ახალი სახლები შენდება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, იქ მოსკოვის ახალი რაიონი იქმნება.

ვ. რ. ჰერსტი. ჩვენ გვითხრეს, როცა ამ რაიონში მშენებლობა დამთავრდება, იქ ორი მილიონი კაცი იცხოვრებსო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ ალბათ შეცდით. იქ ნავარაუდევი იყო ორი მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის აგება. მაგრამ ახლა გეგმა გადასინჯულია ერთგვარი გადიდების მიმართულებით.

ვ. რ. ჰერსტი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე აგრეთვე იმან, რომ ქუჩებში ახლა გაცილებით მეტი ავტომობილია. ხალხის კეთილდღეობა იზრდება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ავტომობილების რაოდენობის მიხედვით არ ღირს ჩვენი ზრდის განსაზღვრა. ჩვენ ჯერ კიდევ არ მივისწრაფვით ვეჯიბრებოდეთ ვინმეს ამ მხრივ, ვინაიდან ავტომობილების რაოდენობა ხალხის კეთილდღეობის ზრდის მთავარ მაჩვენებლად არ მიგვაჩნია. ასე რომ, მოსკოვის ქუჩებში ავტომანქანების რაოდენობის გადიდება, ჩვენი აზრით, ჩვენი ეკონომიკის ზრდის, ჩვენი განვითარების ყველაზე დამახასიათებელი მაჩვენებელი არ არის.

ვ. რ. ჰერსტი. გაუმჯობესებანი, რომლებიც თქვენში მომხდარა, შესამჩნევია ყველგან. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრიდან კი დაახლოებით სამი წელი გავიდა. მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ ამ ხნის განმავლობაში მიღწეულია რაიმე პროგრესი ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა შორის უკეთესი ურთიერთგაგების მხრივ? მე არ შევეხები ამ შემთხვევაში ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთგაგების პრობლემას.

ნ. ს. ხრუშჩოვი. არა, სამწუხაროდ, მდგომარეობა არ შეცვლილა. გრძელდება სიტყვიერი დუელი და იგი იწვევს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის არა შერბილებასა და გაუმჯობესებას, არამედ, პირიქით, ურთიერთობის გაუარესებას, გამწვავებას. ჩვენ ასეთი მდგომარეობით კმაყოფილი არა ვართ და ყველაფერს ვაკეთებთ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ეს მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული. მეორე მხარეს — ამერიკის მმართველ წრეებს,— ეტყობა, ეს არა სურს.

ვ. რ. ჰერსტი. ძალიან სამწუხაროა. ჩვენ გვსურს ურთიერთგაგება, მაგრამ ჩვენ, ეტყობა, ვერ გამოგვინახავს მეთოდი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა ამის მიღწევა. ჩვენი წინადადება იყო დაგვეწყო ევროპაში ინსპექციის ერთგვარი ხაზის დაწესებით. მე მესმის, რომ ამჟამად არ არის ერთმანეთისადმი საჭირო ნდობა, საჭირო რწმენა, მაგრამ ასეთი ინსპექცია იქნებ შეძლებდა გამოეწვია ასეთი ნდობის შექმნა. რას ფიქრობს ბატონი მდივანი ამის თაობაზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა ინსპექცია გაქვთ მხედველობაში?

ვ. რ. ჰერსტი. მე მხედველობაში მაქვს ინსპექცია, რომლის განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა მიწაზე, რადარულ დანადგართა საშუალებით, საჰაერო ინსპექცია. მე მგონია, რომ ძირითადი მიზეზი, რომლის გამო ნატოს ორგანიზაცია შეიქმნა, იყო, მისი ორგანიზატორების აზრით, თავდაცვა რუსეთის აგრესიის შესაძლებლობის წინააღმდეგ. დასავლეთ ევროპის მთავრობებს, ეტყობა, სურთ ჰქონდეთ ისეთი ორგანიზაცია, როცა ორივე მხარე ეჭვით უყურებს ერთმანეთს. ისინი უმთავრესად იმისაკენ მიისწრაფვიან, რომ თავიდან აიცილონ უეცარი თავდასხმა. მე ახლა არ ვლაპარაკობ სპეციალურად ჩვენი ქვეყნის შესახებ, ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, არა გვაქვს არავითარი მისწრაფება უეცარი დარტყმა მივაყენოთ ამა თუ იმ ქვეყანას, მექსიკა იქნება ეს, კანადა თუ სირია, თუმცა ჩვენ აქ გავიგონეთ სიტყვები იმის შესახებ, რომ ამერიკა აგრესორად, ომის გამჩაღებლად მიაჩნიათ. არსებობენ გარკვეული წრეები, რომლებსაც ეშინიათ, რომ რუსეთს შეუძლია შეავსოს შექმნილი ვაკუუმი იქ, სადაც დასავლეთის ქვეყნები თავდაცვას არ შექმნიან. ამიტომ მე მგონია, რომ საჰაერო ინსპექციის, რადარული ინსპექციის, მიწისზედა ინსპექციის განხორციელება შესაძლოა ხელს შეუწყობდა ერთმანეთის მიმართ ეჭვების აღმოფხვრას, ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევდა ნდობის დამყარებას. ამიტომ მე ერთადერთ იმედს იმაზე ვამყარებ, რომ ორივე მხარე სწორედ ასე მიუდგეს ამ პრობლემას, რომ ამგვარად გაუმჯობესდეს არაჯანსაღი ვითარება. მე, ვგონებ, მეტისმეტად ვრცლად ვიძლევი პასუხს თქვენს კითხვაზე, მაგრამ მინდოდა განმემარტა ჩემი თვალსაზრისი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მოგეხსენებათ, ეს საკითხი უკვე იყო ჩვენს ქვეყნებს შორის მსჯელობის საგანი. თქვენ ალბათ კარგად იცნობთ ჩვენს წინადადებებს განიარაღების საკითხზე საერთაშორისო ინსპექციის დაწესებით. ჩვენ ახლაც იმავე პოზიციებზე ვდგავართ. მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ამერიკის მხარემ, ხოლო მის შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა უარი თქვეს მათ მიერვე შეტანილ წინადადებებზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების საბაბით, ეს ერთი ხანია დაიწყეს იმის დაჟინებით მოთხოვნა, რომ განხორციელდეს საჰაერო ინსპექცია, განხორციელდეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიების აეროფოტოგადაღება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აეროფოტოგადაღება ვერც უეცარ თავდასხმას აგვაცილებს თავიდან და ვერც განიარაღებისადმი საჭირო კონტროლს უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა, ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ განვიხილოთ საკითხი საჰაერო ინსპექციის შესახებ, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციების გამო, რომლებსაც მხარი დაუჭირეს ინგლისმა და საფრანგეთმა, ეს საკითხი ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება გახდა განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში. მაგრამ როცა ჩვენ შევიტანეთ წინადადება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს თავიანთ ტერიტორიებზე გამოეყოთ თანაბარი სიდიდის ზონები, რომლებზეც უნდა განხორციელებულიყო საჰაერო ინსპექცია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს წინადადება არ მიიღეს. და საერთოდ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ, როცა ჩვენ ვიღებთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის ამა თუ იმ წინადადებას, ამ ქვეყნების მთავრობები უარს ამბობენ თავიანთსავე წინადადებებზე, ართულებენ მათ და აკავშირებენ აშკარად მიუღებელ პირობებთან იმისათვის, რომ არ დაუშვან შეთანხმების მიღწევა.

თქვენ აყენებთ საკითხს — ჯერ ინსპექცია, შემდეგ კი ნდობის დამყარებაო. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ჯერ საჭიროა მივაღწიოთ ნდობას ქვეყნებს შორის, ხოლო შემდეგ დავაწესოთ ინსპექცია. ამ რთული საკითხის გადაწყვეტის მიღწევა შეიძლება თანდათანობით, ურთიერთ მისაღებ გადაწყვეტილებათა მიღწევის გზით. აი მაშინ, თუ ორივე მხარის სურვილი იქნება, შევძლებთ მივაღწიოთ ჯეროვანი ინსპექციის დაწესებას, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ურთიერთ ნდობის პირობით.

ვ. რ. ჰერსტი. ჯერ ინსპექცია, შემდეგ ნდობა. მე სწორედ ასე მიმაჩნია, იმიტომ, რომ პირიქით რატომღაც არ გამოდის.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მინდა განვაგრძო ჩემი აზრი. თუ დავაწესებთ ინსპექციას ისე, რომ ნდობა არ იყოს, ეს უკვე ინსპექცია როდი იქნება. ქვეყნებს შორის წამხდარი ურთიერთობის დროს ასეთი ინსპექცია გადაიქცევა დაზვერვად იმ მომენტის შერჩევისათვის, რომელიც ამა თუ იმ მხარისათვის ყველაზე ხელსაყრელი იქნება აგრესიის მოსახდენად. ჩვენ არ ვფიქრობთ არავითარ აგრესიულ თავდასხმაზე და, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდებით ასეთ ინსპექციაზე. ხოლო თუ ქვეყნებს შორის შეიქმნება ურთიერთ ნდობის პირობები, მაშინ ინსპექციის დაარსება არავითარ სიძნელესთან არ იქნება დაკავშირებული.

მაგალითად, საჭირო რომ იყოს ურთიერთ ინსპექციის დაწესება საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის, ჩვენ დავთანხმდებოდით ყოველგვარ ინსპექციაზე, რადგან მიგვაჩნია, რომ ინდოეთი მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა, ვინაიდან მას არა აქვს არავითარი განზრახვები ჩვენს წინააღმდეგ, ისევე როგორც ჩვენ არა გვაქვს არავითარი განზრახვები მის წინააღმდეგ. ამიტომ ასეთი ინსპექცია არ გამოიწვევდა საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა ხალხის შეშფოთებას. ხოლო როცა ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, აგრეთვე თქვენი გენერლები ესოდენ ბევრს ლაპარაკობენ მსოფლიო ბატონობის თავიანთი პრეტენზიების შესახებ და აშკარად აცხადებენ საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის თავიანთი გეგმების შესახებ და ამასთან მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ინსპექციის დაწესების შესახებ მათი წინადადებების დაუყოვნებლივ მიღებას, რა თქმა უნდა, ჩვენ ამაზე ვერ დავთანხმდებით. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ამერიკის სამხედრო დაზვერვას შესაძლებლობა მივცეთ აგროვოს ცნობები, რომლებიც მას ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის მოსამზადებლად სჭირდება. თქვენი მოღვაწეები საჯაროდ აცხადებენ, რომ, აქვთ რა სამხედრო ბაზები საბჭოთა კავშირის გარშემო, მათ შეუძლიათ პირისაგან მიწისა აღგავონ ჩვენი ქვეყანა, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევენ. თქვენ თვითონ იცით, რა ბევრს და უგუნურად ტრაბახობენ ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი მოღვაწეები, და განსაკუთრებით ზოგიერთი თქვენი გენერალი. და ამასთან ერთად ისინივე ამბობენ — უფლება მოგვეცით საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ინსპექცია მოვახდინოთო. განა ეს მათ მშვიდობიანი მიზნებისათვის ესაჭიროებათ? რა თქმა უნდა, არა! ვინ დაიჯერებს, რომ საჭიროა ასეთი ინსპექცია მშვიდობის საქმისათვის, ქვეყნებს შორის მეტი ნდობის მიღწევისათვის გამალებული შეიარაღების, ომის ფსიქოზისა და უნდობლობის ახლანდელ ატმოსფეროში?

ჩვენ მიგვაჩნია და ახლაც ისეთ პოზიციებზე ვდგავართ, რომ საჭიროა შეიქმნას პირობები, რათა თავიდან იქნას აცილებული ზოგიერთი ქვეყნის უეცარი თავდასხმა სხვა ქვეყნებზე. ამისათვის ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ შემოგვეღო ასეთი ინსპექცია: ნაცვალგების საწყისებზე დაგვეწესებინა საკონტროლო საგუშაგოები უწინარეს ყოვლისა რკინიგზის კვანძებზე, გზატკეცილებზე, ნავსადგურებში, ხოლო შემდეგ აეროდრომებზეც. ასეთი ინსპექციის საგუშაგოების დაწესება საჭიროა არა ყველგან, არამედ გარკვეულ ზონებში, სამხედრო ენით თუ ვიტყვით, — საწყის ზღუდეებზე, ისე, რომ ამა თუ იმ მხარეს შესაძლებლობა არ მიეცეს დააგროვოს ძალები უეცარი თავდასხმისათვის. ჩვენ აგრეთვე დავთანხმდით, რომ დაწესდეს საჰაერო ინსპექცია საზღვრიდან, რომელიც ჰყოფს ჩვენი ჯარებისა და დასავლეთი სახელმწიფოების ჯარების განლაგებას გერმანიაში, 800 კილომეტრზე როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. ჩვენ ახლაც ვდგავართ ამავე პოზიციებზე, თანახმა ვართ განხორციელდეს ასეთი ღონისძიებანი. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი არ იღებენ ამ წინადადებებს. განა ეს ხელს უწყობს მეტი ნდობის დამყარებას მხარეებს შორის?

ვ. რ. ჰერსტი. ერთი მოკლე კითხვა. თქვენ ალბათ სწორედ ამას გულისხმობდით, როცა ამბობდით, რომ რუსეთმა მიიღო მთელი რიგი წინადადებანი, ხოლო შემდეგ დასავლეთის ქვეყნებმა უარი თქვეს თავიანთ საკუთარ გადაწყვეტილებებზეო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. არა მარტო ამას. გაიხსენეთ თუნდაც წინადადებანი შეიარაღებული ძალების დონის შესახებ. დასავლეთი სახელმწიფოების წინადადებებში ჯერ ნათქვამი იყო, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სამ სახელმწიფოს, სახელდობრ: სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ჰყავდეთ შეიარაღებული ძალები მილიონიდან მილიონნახევრამდე კაცის ფარგლებში, ინგლისსა და საფრანგეთს — 650 ათასი კაცის ფარგლებში. შემდგომი დისკუსიის მსვლელობაში ამერიკის წარმომადგენელმა ბ-ნმა სტასენმა დაასახელა რამდენადმე სხვა

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის" საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა წახალისების მიზნით დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი".

2. საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი" მიენიჭებათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით სულ ცოტა 10 წელიწადი და აქვთ მნიშვნელოვანი დამსახურება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი დანერგვის საქმეში.

3. დამტკიცდეს დებულება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის" საპატიო წოდების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წლის 21 ნოემბერი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები თბილისში

სამ დღეს თბილისში იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი ვან ან-ძი. დელეგაციამ გაიცნო ქალაქის მუსიკალური და თეატრალური ცხოვრება, კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

სახალხო ჩინეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, გამომცემლობანი და წიგნის მაღაზიები, კინოსტუდია „ქართული ფილმი".

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დელეგაციას აჩვენეს ეროვნული სახვითი ხელოვნების ექსპონატები და ძველქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშები.

დელეგაცია გაემგზავრა გორში, სადაც ინახულა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი. გორის რაიონის სოფელ ატენში დელეგაცია დაინტერესა ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა — კულტურის სახლის, კლუბის, ბიბლიოთეკის მუშაობამ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს საუბარი ჰქონდათ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ დ. ი. ჩხიკვიშვილთან.

გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. (საქტაგი).

დეპეშა

მის აღმატებულებას ბ-ნ ქამილ შამუნს

ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტს

ბეირუთი

ლიბანის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ გულწრფელი მილოცვა. გისურვებთ კეთილდღეობას პირადად თქვენ და აყვავებას ლიბანელ ხალხს. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 21 ნოემბერი.

დეპეშა

მის აღმატებულებას მარშალ ვოროშილოვს,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

ჩემი სახელით და ლიბანელი ხალხის სახელით უღრესად მხურვალე მადლობას მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას ლიბანის ეროვნული დღესასწაულის გამო თქვენი მისალოცი დეპეშისათვის და ვუსურვებ თქვენს აღმატებულებასა და საბჭოთა კავშირის ხალხებს ბედნიერებასა და კეთილდღეობას.

ქამილ შამუნი

ბეირუთი, 1957 წლის 27 ნოემბერი.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა მოძრაობის შესახებ

29 ნოემბრის დილის 6 საათისათვის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 363-ჯერ შემოუარა დედამიწას. პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა და მისმა მატარებელმა რაკეტამ ამ დროისათვის შესაბამისად 836 და 846-ჯერ შემოუარეს დედამიწას. მოწმენდილ ამინდში დედამიწის მეორე ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვება შეიძლება შეუიარაღებელი თვალით მზის ამოსვლის წინ ჩრდილოეთ განედის 54 გრადუსიდან 63 გრადუსამდე და მზის ჩასვლის შემდეგ სამხრეთ განედის 25 გრადუსიდან 52 გრადუსამდე.

პირველი თანამგზავრის მატარებელ რაკეტაზე დაკვირვება შეიძლება მთელი ღამის განმავლობაში სამხრეთ განედის 30 გრადუსიდან 65 გრადუსამდე.

მეორე ხელოვნური თანამგზავრი 30 ნოემბერს გაივლის მოსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით 7 საათსა და 23 წუთზე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. (საქტაგი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მილიციის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში.

1. **ბელთაძე ამირიდო ფილიპეს-ძე** — მილიციის მაიორი
2. **გაგუა არსენ პავლეს-ძე** — მილიციის მაიორი
3. **გენგიური შოთა სიმონის-ძე** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
4. **გვენცაძე ვახტანგ ივანეს-ძე** — მილიციის ლეიტენანტი
5. **გიგოლაევი ვიქტორ დავითის-ძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი
6. **გიგოლაევი ხარიტონ ასლანის-ძე** — მილიციის ზემდეგი
7. **გიგოლაშვილი ივანე ბედოს-ძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი
8. **ელიაროვა თამარ გიორგის ასული** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
9. **ვაშაგაშვილი დავით დიმიტრის-ძე** — მილიციის ზემდეგი
10. **კაზიმოვი მეხრელი გუსეინის-ძე** — მილიციის სერჟანტი
11. **კაპანაძე ტრიფონ ივანეს-ძე** — მილიციის ზემდეგი
12. **კონცელიძე ვახტანგ დურსუნის-ძე** — მილიციის პოდპოლკოვნიკი,
13. **კოსიკ ივანე საფრონის-ძე** — მილიციის ზემდეგი
14. **ლონდარიძე ვლადიმერ მიხეილის-ძე** — მილიციის სერჟანტი
15. **მაისურაძე ზაქარია ივანეს-ძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი
16. **მალაკმაძე ხემიდ ხასანის-ძე** — მილიციის უმცროსი სერჟანტი
17. **მაღლაკელიძე ოთარ კონსტანტინეს-ძე** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
18. **მაჩალაძე გრიგოლ ბესარიონის-ძე** — მილიციის კაპიტანი
19. **მელიქიძე ალექსანდრე გრიგოლის-ძე** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
20. **ოვსეპიანი გარიბ მიხეილის-ძე** — მილიციის ზემდეგი
21. **ორჯონიკიძე დავით მიხეილის-ძე** — მილიციის მაიორი
22. **სინჯიაშვილი ვლადიმერ დავითის-ძე** — მილიციის კაპიტანი
23. **სულეიმანოვი მადატ ოსმან ოღლი** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
24. **სუჯიაშვილი არსენ ნიკოლოზის-ძე** — მილიციის მაიორი
25. **ტევონიანი აშოტ სარქისის-ძე** — მილიციის პოდპოლკოვნიკი
26. **ტიტკოვი ალექსანდრე ათანასეს-ძე** — მილიციის კაპიტანი
27. **ფაცაცია ლუღუნი ჩიტოს-ძე** — მილიციის ლეიტენანტი
28. **ფუხაშვილი სერგი ილიას-ძე** — მილიციის კაპიტანი
29. **ყალიჩავა დანიელ ფარნაოზის-ძე** — მილიციის უფროსი ლეიტენანტი
30. **ყვავაძე ვლადიმერ არქიპოს-ძე** — მილიციის სერჟანტი
31. **შარაშენიძე ამირან ალექსანდრეს-ძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი
32. **შახკულიანი სტეფანე ნიკოლოზის-ძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი
33. **ჩიჩუა აბესალომ ივანეს-ძე** — მილიციის ლეიტენანტი
34. **ჰანკოტაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე** — მილიციის კაპიტანი
35. **ჭკადუა გრანტ ალექსანდრეს-ძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წლის 29 ნოემბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

საგაზეთო-საგამომცემლო ტრესტის მეთაურთან ვ. რ. ჰერსტთან

(გაგრძელება)

ციფრები, სახელდობრ: სამ სახელმწიფოს — სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შეიძლება ჰყავდეთ შეიარაღებული ძალები 2,5 მილიონი კაცის ფარგლებში, ინგლისსა და საფრანგეთს — 750 ათასი კაცი თვითეულს. ბ-ნ სტასენის ასეთ წინადადებას დაეთანხმნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. და მერე რა? როცა ჩვენ ეს წინადადება მივიღეთ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა უარი თქვეს თავიანთსავე წინადადებებზე. რით უნდა აიხსნათ ყოველივე ეს?

ვ. რ. ჰერსტი. დიახ, ეს მახსოვს.

ფ. კონიფი. ნება მიბოძეთ ერთი კითხვა მოგცეთ. თქვენ ლაპარაკობთ ყველა ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საჭიროებაზე. როგორ შეუწყობს ხელს ასეთ გაუმჯობესებას ის რამდენადმე მკაცრი კილო, რაც ემჩნევა კომუნისტური ლიდერების თათბირის დეკლარაციას, რომელიც დღეს გამოქვეყნდა?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე არ მესმის, რა აქვს მხედველობაში ბ-ნ კონიფს ამ დეკლარაციაში, როცა მას მკაცრს უწოდებს? იქ ჩამოყალიბებულია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების პოზიციები და მათი შეხედულებანი. ყოველივე ეს გამომდინარეობს ამ პარტიების პროგრამებიდან, წესდებებიდან, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენი პარტიების მოღვაწეობას. იქ, კაცმა რომ თქვას, არავითარი მკაცრი დებულება არ არის ჩამოყალიბებული. პირიქით, იქ ლაპარაკია იმაზე, რომ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მშვიდობისათვის ბრძოლა მიაჩნიათ თავიანთ პირველხარისხოვან ამოცანად, რომ ეს პარტიები იბრძოლებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და სოციალური წყობილების მქონე ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა. კომუნისტური პარტიების წინაშე ისახება მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის ამოცანა. მე არ მესმის, რა არის იქ მკაცრი?

ფ. კონიფი. მე მეჩვენა, მაგალითად, რომ ამ დეკლარაციაში ზოგიერთი მითითება ამერიკის შეერთებულ შტატებზე ალბათ მიღებული იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებში როგორც არამეგობრული ენით გამოხატული. მე არ ვლაპარაკობ დეკლარაციის ძირითად მიმართულებაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, ასახავს კომუნისტური პარტიების შეხედულებებს, მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ ასეთი მითითებანი ამერიკის შეერთებულ შტატებზე ჩვენს ქვეყანაში გაგებული იქნება როგორც არა განსაკუთრებით მეგობრული ნაბიჯი მის მიმართ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩემთვის გაუგებარია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რატომ უნდა განმარტონ ეს როგორც არამეგობრული ნაბიჯი. დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია პოზიციები პარტიებისა, რომლებიც ეწევიან ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. და, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებს, რომლებიც სათავეში უდგანან საწინააღმდეგო, კაპიტალისტურ პოზიციებზე მდგომ პარტიებს, არ მოსწონთ ჩვენი სოციალისტური პოზიციები. ჩვენ ხომ არც მოველით, რომ ისინი მესალმებიან ამ დეკლარაციას, იმიტომ რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებულია დეკლარაციაში, და ბურჟუაზიული პარტიების პოზიცია ერთიმეორის საწინააღმდეგო იდეური პოზიციებია.

მაგრამ ეს იდეოლოგიური ბრძოლის დარგს ეკუთვნის. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს რომ ეცნოთ ის უდავო ფაქტი, რომ ახლა არსებობს და ვითარდება სოციალიზმის სამყარო თავისი იდეებით, და კაპიტალიზმის სამყარო, რომელშიც ძველი წესები ბატონობენ, ისინი ცნობდნენ იმ ორი სოციალური სისტემის თანაარსებობის შესაძლებლობასაც, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში ვითარდებიან. ხოლო ცნობდნენ რა ამას, ისინი ცნობდნენ, რომ იდეოლოგიური ბრძოლა არ უნდა იწვევდეს კონფლიქტებს და მით უმეტეს სამხედრო შეჯახებებს ქვეყნებს შორის, რომლებშიც სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემებია. ამ ქვეყნებს შეუძლიათ განახორციელონ და კიდევაც უნდა განახორციელონ მშვიდობიანი თანაარსებობა და მშვიდობიან შეჯიბრებაში დაამტკიცონ, რომელი სისტემა უფრო მეტ უპირატესობებს აძლევს საზოგადოებას.

რაც შეეხება დეკლარაციას, იგი მთლიანად გამსჭვალულია მშვიდობიანი მისწრაფებებით, ლაპარაკობს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საჭიროებაზე, მოუწოდებს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს ახალი ომის წარმოშობის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ამჟამად მთელ მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა მშვიდობის დასაცავად, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიები ცდილობენ მიაღწიონ ერთობლივ მოქმედებას უაღრესად ფართო მასშტაბით მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან, ყველასთან, ვისაც ომი არა სურს. თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ ყველა სახელმწიფოების, პარტიების, ორგანიზაციების, მოძრაობათა და ცალკეულ პირთა ღონისძიებებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, შეიარაღების შემცირებისათვის, ატომგულის იარაღის გამოყენებისა და გამოცდის აკრძალვისათვის. განა ამაში არის რამე მკაცრი ან მტრული ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ?

რ. კონსიდაინი. მეც მიბოძეთ ნება მოგცეთ კითხვა: ეს ახალი დეკლარაცია ახლა პირდაპირ დაუფლებულია ადამიანთა გონებას. ცხადია, რომ ეს დეკლარაცია სოციალისტთა და კომუნისტთა შეხედულებების ერთიანობის მაჩვენებელია. უეჭველია ისიც, რომ სხვადასხვა ქვეყანაში იგი სხვადასხვაგვარად იქნება გაგებული. თქვენი აზრით, რა სამ ძირითად პუნქტს შეიცავს ეს დეკლარაცია?

ნ. ს. ხრუშჩოვი. დეკლარაცია დიდი დოკუმენტია, რომელშიც ასახვა ჰპოვა საკითხთა საკმაოდ ფართო წრემ. თქვენ იგი ალბათ ცუდად წაიკითხეთ. თქვენ რომ იგი ყურადღებით წაგეკითხათ, ადვილად გამოჰყოფდით შიგ ძირითად, მთავარ დებულებებს. რა თქმა უნდა, ადამიანთა ნაწილისათვის ეს დებულებანი ერთი იქნება, სხვა ადამიანებისათვის — სხვანაირი. თუ გეტყვით ჩემს აზრს იმის შესახებ, რა სამ მთავარ პუნქტს შეიცავს დეკლარაცია, ჩვენი აზრები შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს.

რ. კონსიდაინი. მე ყურადღებით წავიკითხავ დეკლარაციას და აუცილებლად ზეპირად დავისწავლი მას.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს ლექსი არ არის, რომ ზეპირად დაისწავლოთ, მაგრამ ამ დოკუმენტის არსში გარკვევა საჭიროა.

ფ. კონიფი. ვგონებ, რომ ჯერ კიდევ ლენინი ამბობდა, სიმარტივე უკეთესად გაგებას იწვევსო. ამიტომ მე, ამ დოკუმენტს რომ ვკითხულობდი, ვცდილობდი როგორმე გამემარტივებინა იგი და აშვგარად გამედვილებინა მისი გაგება ჩვენი მკითხველისათვის, ვინაიდან ცხადია, რომ ჩვენი მკითხველები ვერ შეძლებენ თვითონ გაერკვნენ ამ უდიდეს დოკუმენტში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ სასარგებლო საქმეს გააკეთებთ, თუ კარგად გაერკვევით დეკლარაციაში და სწორად გაიგებთ მის ძირითად დებულებებს. მაგრამ მე ნაკლებად მჯერა, რომ თქვენ დეკლარაციის ძირითად დებულებებს მიაწვდით თქვენს მკითხველებს ისეთი სულისკვეთებით, როგორც ისინი იქ არის ჩამოყალიბებული. თქვენ ხომ სულ სხვა იდეურ პოზიციებზე დგახართ. ამიტომ მე მაინცდამაინც არ მჯერა თქვენი ობიექტურობა.

თქვენ ჯეროვან ობიექტურობას გამოიჩენდით, ბ-ნო ჰერსტ, თუ მთლიანად გამოაქვეყნებდით თქვენს პრესაში ამ დეკლარაციას და, ამრიგად, შესაძლებლობას მისცემდით თქვენს მკითხველებს, ამერიკის მთელ საზოგადოებრიობას თვითონ წაიკითხონ და გაერკვნენ ამ დოკუმენტის შინაარსში. მაშინ მათ თვითონ შეეძლოთ განესაჯათ, თუ რა არის ხელსაყრელი და რა არ არის ხელსაყრელი ამერიკელი მკითხველისათვის, წარმოდგენა ჰქონოდათ ამ დოკუმენტის შესახებ არა ცალმხრივი, ზოგჯერ ტენდენციური გადმოცემის საფუძველზე, რომელიც მიღებულია მესამე პირთაგან, არამედ უშუალოდ, დედანში წაეკითხათ დეკლარაცია. გარწმუნებთ თქვენ, მაშინ საუკეთესო სამსახურს გაუწევდით თქვენს მკითხველებს. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენ გამოაქვეყნებთ დეკლარაციას?

ვ. რ. ჰერსტი. მინდა პატიოსნად გითხრათ, რომ ჩვენი საგაზეთო გაერთიანების გამოცემები ჩვეულებრივ მთლიანად არ აქვეყნებენ ესოდენ ვრცელ დოკუმენტებს. ამას აკეთებს ისეთი გაზეთები, როგორიც არიან „ნიუ-იორკ ტაიმსი", „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" და ზოგიერთი სხვა გაზეთი, რომლებიც თავიანთი მოცულობით ჩვენს გაზეთებზე დიდი არიან. ჩვენ კი ზოგჯერ მთლიანად არც კი ვაქვეყნებთ ჩვენი პრეზიდენტის ყველაზე ვრცელ გამოსვლებს, რომლებიც 30 წუთს ან ერთ საათს გრძელდება. ამრიგად, ვერ დაგპირდებით, რომ ჩვენი გაზეთები მთლიანად გამოაქვეყნებენ ესოდენ გრძელ დოკუმენტს. მაგრამ შემიძლია პირობა მოგცეთ, რომ ჩვენ უაღრესად გულწრფელად ვეცდებით შევაჯამოთ, როგორც ამას ჩვეულებრივ ვაკეთებთ, ამ დეკლარაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები, ხოლო შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ, მივცემთ რედაქციისაგან ჩვენს კომენტარს.

რ. კონსიდაინი. ჩემს კითხვას რომ გაძლევდით, ვცდილობდი გამომერკვია თქვენი თვალსაზრისი დეკლარაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტების შესახებ.

ვ. რ. ჰერსტი. ეს ჩვენ დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ დეკლარაცია და შესაბამისად დაეხმარება ამერიკელ ხალხს უკეთ გაერკვეს მასში. თქვენ მართალი ხართ — ჩვენ თვითონ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით მთლიანად წაგვეკითხა დეკლარაცია, წავიკითხეთ მხოლოდ რამდენიმე ცნობა, რომლებიც მის შესახებ გაიგზავნა დღეს შეერთებულ შტატებში დაახლოებით დილის 4-5 საათზე. ამიტომ ამ დეკლარაციის შესახებ ჩვენი შთაბეჭდილება შეგვექმნა არა მისი სრული შესწავლის საფუძველზე, ჩვენ უფრო იმას მივაქციეთ ყურადღება, რაც იქ ნათქვამია შეერთებულ შტატებზე, და აქედან გავაკეთეთ დასკვნა, რომ დეკლარაციაში რამდენადმე მკაცრი ფორმით არის ლაპარაკი ჩვენს ქვეყანაზე. შესაძლოა, როცა ჩვენ მთლიანად გავეცნობით დოკუმენტს, სხვა დასკვნამდე მივალთ. გარწმუნებთ, რომ თუ ჩვენ ვცდებით, გამოვასწორებთ ჩვენს შეცდომას და ვეცდებით ობიექტურად გადავცეთ დოკუმენტის არსი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს კარგი იქნებოდა, ვინაიდან ხელს შეუწყობს მეტი ურთიერთგაგების მიღწევას.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვეთანხმებით იმ როლს, რომელზეც პრეტენზიას აცხადებენ ამერიკის შეერთებული შტატები, — მსოფლიო ბატონობას. დეკლარაციაში მთავარია ზრუნვა სოციალისტური ქვეყნების განვითარებისათვის, ყველა იმ ქვეყანასთან მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფისათვის, რომლებსაც სოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებული სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობა აქვთ. ვიმეორებ, დეკლარაციაში მთავარია ჩვენი პარტიების უაღრესად გულწრფელი სურვილი უზრუნველყონ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

რ. კონსიდაინი. ნება მიბოძეთ კიდევ ერთი კითხვა მოგცეთ. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ იუგოსლავიის წარმომადგენლებს ხელი არ მოუწერიათ დეკლარაციისათვის. მიღებული იყო თუ არა რაიმე ღონისძიებანი იუგოსლავიის დასარწმუნებლად, რომ ხელი მოეწერა ამ დოკუმენტისათვის?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მოაწერენ თუ არ მოაწერენ ხელს დოკუმენტს — ეს უაღრესად ნებაყოფლობითი საქმეა. თვითეული ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს საკითხს, მიიღებს თუ არა იგი მონაწილეობას ამა თუ იმ დოკუმენტის შემუშავებაში.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიუღიათ დეკლარაციის შემუშავებაში. ისინი თვითონვე გადაწყვეტენ ამ დოკუმენტისადმი დამოკიდებულების საკითხსაც. რაც შეეხება იუგოსლავიის მთავრობისა და იუგოსლავიის კომუნისტთა პარტიის პოლიტიკას, იგი ჩამოყალიბებულია ამხ. კარდელის ცნობილ გამოსვლაში უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე და იუგოსლავიის პრეზიდენტის ამხ. ტიტოს სტატიაში, რომელიც „პრავდაში" გამოქვეყნდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იუგოსლავიის პოზიცია საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის საკითხზე ამ გამოსვლებში საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული.

მეორე დოკუმენტში — მშვიდობის მანიფესტში, — რომელიც პრესაში 23 ნოემბერს გამოქვეყნდება და რომელიც ყველა კომუნისტურმა და მუშათა პარტიამ მიიღო, არის იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმოწერაც.

რ. კონსიდაინი. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საჭიროა დატოვებულ იქნას და გაძლიერდეს ვარშავის პაქტის ორგანიზაცია. ნიშნავს ეს თუ არა, რომ საბჭოთა კავშირი ამ პაქტში შემავალ ქვეყნებს მოამარაგებს უახლესი შეიარაღებით, მათ შორის ატომური იარაღით და ამას წინათ გამოგონებული სხვა იარაღით, რათა გააძლიეროს ეს ორგანიზაცია?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ასეთი საკითხი, ბუნებრივია, არ შეიძლებოდა განხილულიყო ამ თათბირზე, იმიტომ რომ ეს უკვე სამხედრო დარგს ეკუთვნის, სამხედრო პირები კი თათბირში მონაწილეობას არ იღებდნენ. აღიჭურვებიან თუ არა იმ ქვეყნების არმიები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვარშავის ხელშეკრულებას, თანამედროვე იარაღით, მათ შორის ატომური და წყალბადის მუხტიანი რაკეტებით, — ეს დამოკიდებული იქნება ვითარებაზე და იმ ხაზზე, რომელსაც დაადგებიან და განახორციელებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალი ქვეყნები. გარდა ამისა, რაკეტული იარაღი, რომელიც საბჭოთა კავშირს აქვს, გაანგარიშებულია მისი საკუთარი ტერიტორიიდან გამოსაყენებლად, ასე რომ ჩვენში არ ისმება საკითხი ამ იარაღის ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში აუცილებლად განლაგების შესახებ. ჩვენ ახლო ბრძოლის რაკეტებიც გვაქვს. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფ ჩვენს სამხედრო ნაწილებს, ბუნებრივია, აქვთ ყველა სახეობის იარაღი, რომელიც საჭიროა მათი ბრძოლისუნარიანობისათვის აგრესორის ყოველი თავდასხმის მოსაგერიებლად.

რ. კონსიდაინი. მე მინდა დავაზუსტო, რა სამხედრო ნაწილები იგულისხმება — საბჭოთა არმიისა თუ აღმოსავლეთ გერმანიის არმიისა?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ცხადია, საბჭოთა არმიისა.

რ. კონსიდაინი. თქვენ თქვით, რომ 23 ნოემბერს გამოქვეყნდება კიდევ ერთი დეკლარაცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მასალები თქვენთან საუბარზე გაზეთებში კვირამდე არ დაიბეჭდება, ხომ ვერ შეძლებდით სავსებით ზოგადად გადმოგვეცათ ახალი დოკუმენტის ძირითადი შინაარსი? ხომ არ იქნება წამოყენებული მშვიდობის უზრუნველყოფის ახალი გეგმა?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მშვიდობისათვის ბრძოლა ხალხთა დიდ ღონისძიებებს მოითხოვს, და მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ არ დაუშვან ომი და უზრუნველყონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ეს არის მთავარი მშვიდობის მანიფესტში.

ფ. კონიფი. იქნებ დაგვეხმარებით დეკლარაციის გაგებაში, თუ გვეტყვით, რა იგულისხმება სიტყვებით: „ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები", „ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელები და მუშათა კლასი"? როგორც ჩანს, ამ ცნებათა სხვადასხვა გაგება არსებობს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მმართველი წრეები მმართველი წრეებია. მუშათა კლასი მუშათა კლასია. ჩემი აზრით, ეს განსაზღვრანი გასაგებია, რა ენაზეც უნდა წარმოითქმებოდეს ისინი.

ვ. რ. ჰერსტი. ჩემი წარმოდგენით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშათა კლასი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს. და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენში საკითხები წყდება არჩევნებზე ხმის მიცემის გზით. მე მგონია, რომ სწორედ მუშათა კლასია ჩვენში მმართველი კლასი. ჩვენში არიან ოჯახები, რომლებსაც მეტი ფული აქვთ, სხვებს — ნაკლები, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მათ არ შეუძლიათ გავლენას ახდენდნენ, ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სწორედ ასეა, ბევრი რამ არის დამოკიდებული მთავრობაზე, ბ-ნო ჰერსტ. თუ თქვენ გსურთ დისკუსია გამართოთ ამ საკითხზე, გაითვალისწინეთ, რომ მას ბევრი დრო დასჭირდება. მუშათა კლასი ამერიკის შეერთებულ შტატებში მართლაც უმრავლესობას შეადგენს, მაგრამ თქვენს ქვეყანაში მუშათა კლასს ძალაუფლება არა აქვს, წარმოების საშუალებები არა აქვს, რადიოსადგურები არა აქვს. ვის ხელშია ეს? ყოველივე ეს მდიდარი ადამიანების, მონოპოლისტების ხელშია, მათ ხელშია აგრეთვე თითქმის მთელი პრესა. ისინი აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს — რადიოს, ტელევიზიის, წიგნების, გაზეთების, კინოს მეშვეობით. ადამიანზე პოლიტიკური, ეკონომიური და მორალური ზეგავლენის ყველა საშუალება კაპიტალისტების, უმდიდრესი მონოპოლიების ხელშია. ისინი ჯერჯერობით სარგებლობენ იმით, რომ ამერიკელი მუშების მნიშვნელოვანი ნაწილის კლასობრივი შეგნება ჯერ კიდევ არ არის მაღალ დონეზე, იმ ადამიანებს, რომლებიც პროგრესულ იდეებს იცავენ, სდევნიან, ყველა საშუალების გამოყენებით ეწევიან ადამიანთა დამუშავებას, აიძულებენ მათ ხმა მისცენ ისეთ კანდიდატებს, რომლებიც იმავე მონოპოლიების სასარგებლო პოლიტიკას ახორციელებენ. უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალისტებმა გამოიგონეს და ახორციელებენ მარჯვე დემოკრატიას, მას ჯერ კიდევ შეცდომაში შეჰყავს მილიონობით ადამიანი. მაგრამ დადგება დრო, როცა მუშათა კლასი შეიგნებს, შეიცნობს თავის ძალას და მაშინ იგი ნამდვილად მისცემს ხმას, მაგრამ ისე, როგორც თავისი კლასობრივი ინტერესები უკარნახებს. მუშათა კლასი იტყვის: მე ვარ ბატონპატრონი, მე ვქმნი ყველა ღირებულებას, ამიტომ ეს ღირებულებანი უნდა განაწილდეს მთელი ხალხის ინტერესებისათვის და, უწინარეს ყოვლისა, — იმათი ინტერესებისათვის, ვინც ამ ღირებულებას ქმნის, — მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის ინტერესებისთვის.

თქვენ ნუ შეგეშინდებათ ამისა, როგორც კაპიტალისტს. თუ თქვენ სწორად დაწერთ, ჩვენ ვიშუამდგომლებთ ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასის წინაშე თქვენს შესახებ, ვეტყვით, რომ ბ-ნი ჰერსტი, თუმცა კაპიტალისტია, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში ზოგჯერ რაღაც ობიექტურობას იჩენდა-თქო. **(სიცილი).** ამასთან მე შემიძლია დავიმოწმო ისტორია. იყო რუსეთში კაპიტალისტი საბა მოროზოვი, რომელიც მწერალ მ. გორკის მეშვეობით მატერიალურ დახმარებას უწევდა ჩვენს პარტიას, იყო აგრეთვე ერთი ინგლისელი კაპიტალისტი, რომელმაც ფული მოგვცა პარტიული ყრილობის ჩატარებისათვის შენობის დასაქირავებლად იმ პირობით, რომ როცა ბოლშევიკური პარტია ძალაუფლებას მოიპოვებდა, ვალს დაუბრუნებდა მას. და ეს ვალდებულება შესრულებულ იქნა. თუ ჩვენ სიტყვას ვიძლევით, აუცილებლად ვასრულებთ მას.

ვ. რ. ჰერსტი. მე ძალიან ვწუხვარ, რომ არც ერთ მხარეს არა აქვს იმის გაგება, თუ როგორ მოქმედებს ორივე ჩვენი სისტემა, როგორია მათი ფუნქციები. როცა ვისმენ ყოველივეს, რასაც თქვენ ამბობთ, არ შემიძლია თუნდაც ერთი სიტყვა დავიჯერო. ერთი რამ ცხადია, რომ ორივე ქვეყანა კმაყოფილია თავისი სისტემით. ჩვენ, ბუნებრივია, ერთ ენაზე არ ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩვენ ერთი და იმავე სიტყვების ერთნაირი გაგებისთვისაც კი ვერ მიგვიღწევია, თუნდაც კარგი თარჯიმანის მეშვეობით ვლაპარაკობდეთ. ჩვენ როგორღაც სხვადასხვანაირად გვესმის ეს სიტყვები. გეთანხმებით, რომ მომავალი რაღაც გადაწყვეტამდე მიგვიყვანს. მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. ეს თქვენ მაინცდამაინც არ უნდა გაკვირვებდეთ. ჩვენ მართლაც სხვადასხვანაირად გვესმის საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები. ჩვენ სოციალისტური სისტემის მომხრე ვართ, თქვენ — კაპიტალისტური სისტემისა. თქვენ მიგაჩნიათ, რომ თქვენთვის ხელსაყრელი არ არის სოციალისტური სისტემა, და იღებთ ღონისძიებებს თქვენი კაპიტალისტური სისტემის განმტკიცებისათვის. ჩვენ ვიღებთ ღონისძიებებს ჩვენი სოციალისტური სისტემის განმტკიცებისათვის. სწორედ ეს არის სხვადასხვა ენა. სხვადასხვანაირად რომ გვესმის მოვლენები, ჩვენ და თქვენ, ცხადია, ვერც მოვნახავთ საერთო ენას. რაღაც საერთო ენა რომ მოვნახოთ, ერთმა ან მეორე მხარემ ხელი უნდა აიღოს თავის იდეოლოგიაზე — ან ჩვენ ჩვენსაზე, ან თქვენ თქვენსაზე. ჩვენ არ მოველით ამას თქვენგან, და, როგორც ჩანს, არც თქვენ მოელით ამას ჩვენგან. მაშ რა იქნება შემდეგ? აი სწორედ აქ არის საჭირო გონების სიფხიზლე, ნამდვილი რეალიზმი, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ საღი განსჯა და ვთქვათ: მსოფლიოში არსებობს ორი სისტემა — სოციალისტური და კაპიტალისტური, შესაძლებლობა მივცეთ ისტორიას გაერკვეს, რომელი მათგანია უკეთესი.

ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე განვითარებული და ყველაზე მძლავრი კაპიტალისტური ქვეყანაა. ყველაზე მძლავრი სოციალისტური ქვეყანა საბჭოთა კავშირია. მოდით წარვმართოთ მთელი ჩვენი ღონისძიებანი სადავო საკითხების გადაჭრისაკენ არა გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო მასალების დაგროვების გზით, რამაც შეიძლება სამხედრო კონფლიქტამდე მიგვიყვანოს, არამედ ჩვენი ღონისძიებანი და საშუალებანი წარვმართოთ ეკონომიკის განვითარებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის, მისი კულტურის ამაღლებისაკენ, ესე იგი განვახორციელოთ თანაარსებობა. დაე ადამიანებმა არა იარაღით, არამედ თავიანთი გონებით გადაწყვიტონ, რომელი სისტემა უფრო ხელსაყრელია მათთვის. ჩვენ ასეთ პოზიციებზე ვდგავართ. ჩვენ ვამბობთ: საზოგადოება თავისი კანონებით ვითარდება, და აი დადგა ერა, როცა კაპიტალიზმმა ადგილი უნდა დაუთმოს სოციალიზმს, როგორც კაპიტალიზმზე უფრო მაღალ საზოგადოებრივ სისტემას. ეს ჩემზე, კომუნისტზე, როდია დამოკიდებული, ე'ს არც თქვენზე, კაპიტალისტზეა დამოკიდებული. არა, ეს ობიექტური ისტორიული პროცესია. ეს ძალიან კარგად დაამტკიცეს მარქსმა და ენგელსმა, განავითარა და შემდგომ განაგრძო ლენინმა.

მე მინდა გითხრათ თქვენ, ბ-ნო ჰერსტ, და თქვენი მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეა. ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ დაიწყებს ომს, თუ მან თავდასხმა არ განიცადა, ჩვენ არ ვაპირებთ ომს არც ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, არც რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, იმის მიუხედავად — ახლოს არის ეს ქვეყანა საბჭოთა კავშირთან თუ შორს, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ჩვენი იდეოლოგიის სულისკვეთებას. ჩვენ გვსურს შეჯიბრება მშვიდობიან მშენებლობაში, შემოქმედებითს შრომაში.

კიდევ მინდა გითხრათ, ბ-ნო ჰერსტ, რომ ახალ სახეობათა იარაღის შექმნის დარგში ჩვენ გავუსწარით თქვენს ქვეყანას. ჩვენ ახლა გვაქვს აბსოლუტური იარაღი, ყოველმხრივ სრულყოფილი და მოკლე ვადებში შექმნილი. ამას დასაშინებლად როდი გეუბნებით, ეს საჭირო არ არის, მე მხოლოდ აღვნიშნავ ფაქტს: ჩვენმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მუშებმა ყველაზე თანამედროვე იარაღი შექმნეს. საბჭოთა კავშირს აქვს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. მას აქვს სხვადასხვა სისტემის რაკეტები სხვადასხვა დანიშნულებისათვის, ყველა ჩვენი რაკეტი ისეა მოწყობილი, რომ ატომური და წყალბადის მუხტებით აღიჭურვოს. ამრიგად, ამ საკითხში ჩვენ დავამტკიცეთ ჩვენი უპირატესობა. და თუ ახლა ომი დაიწყო, — იგი კი შეიძლება გააჩაღონ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა წრეებმა, იმიტომ რომ სხვა ქვეყნები მის გაჩაღებას ვერ გაბედავენ, — ეს დიდი უბედურება იქნება იმ ქვეყნების ხალხებისათვის, რომელთა ტერიტორიაზეც განლაგებულია ამერიკის ბაზები და რომლებიდანაც ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ თავს დაესხან საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. რა თქმა უნდა, ის ხალხები, რომელთა მთავრობებმა მათ ზურგსუკან დაანებეს თავიანთ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნა, შეიძლება ძლიერ დაზარალდნენ. არც ეს არის მუქარა. მაგრამ თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნეს სამხედრო ბაზები და სურთ ამ ბაზებიდან თავს დაესხან საბჭოთა კავშირს, ჩვენ იძულებული ვართ მივიღოთ თავდაცვის ღონისძიებანი. ამერიკის ბაზები მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზეა და არა ცარიელ ადგილებზე, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იმ ქვეყნების ხალხები, სადაც განლაგებულია სამხედრო ბაზები, ფხიზლად შეაფასებენ ვითარებას და შეიგნებენ, რას იწვევენ სამხედრო ბლოკები და, უწინარეს ყოვლისა, ნატო. ეს ერთი დებულებაა.

მეორე დებულება — ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არსებითად არასოდეს არ უომნიათ თავიანთ ტერიტორიაზე და თქვენმა ხალხმა არ იცის, რა არის ომი. თუ ახლა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა წრეებმა ომი გააჩაღეს, ეს ომი იწარმოებს არა მარტო ევროპაში, აზიასა და აფრიკაში, ეს ომი დაუყოვნებლივ გადატანილ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, იმიტომ რომ ახლა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები შესაძლებელს ხდიან მიზანში მოხვედრებას დედამიწის ყოველ რაიონში. ამასთან ამერიკელ ხალხს
უდიდესი ზარალი მოუვა. ყველა საშუ
ლება — საკონტინენტთაშორისო ბ
ლისტიკური რაკეტები, წყალბადის ბ
ბების რაკეტები და სხვა საშუალებებ
რომლებიც ახლა არსებობს, გამოყენ
ბულ იქნება სამხედრო კონფლიქტ
დროს. თქვენ თვითონ გესმით, ეს ომ
ლოგიკაა, ბრძოლის ლოგიკაა.

ჩვენ გვსურს შეჯიბრება არა შე
რაღების საკითხებში. მოდით გავით
ლისწინოთ რეალურად შექმნილი ვით
რება და უარი ვთქვათ ომზე, როგორ
სადავო საკითხების გადაწყვეტის საშუ
ლებაზე, მოდით დავაწესოთ ჯეროვა
კონტროლი, რომ გამოვრიცხოთ ამა თ
იმ ქვეყნის უეცარი თავდასხმა, მოდ
შევქმნათ პირობები, რომლებიც ხე
შეუწყობდნენ მეტს ნდობას ჩვენს ხა
ხებს შორის. მოდით ვივაჭროთ თუ
დაც არა სტრატეგიული საქონლი
როგორც თქვენ მას უწოდებთ, არამ
საერთოდ საქონლით. თუ თქვენთ
ხელსაყრელი არ არის ივაჭროთ საბჭ
თა კავშირთან, მოდით იურიდიულ
აღმოვფხვრათ დისკრიმინაცია, რო
ლიც ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობ
არსებობს. ეს ხელს შეუწყობს ნდობ
მოდით გავცვალოთ კულტურული
მეცნიერული მიღწევები. ერთი სი
ვით, შევეჯიბროთ ერთმანეთს მშ
დობიან ასპარეზზე.

ახლა ამერიკის შეერთებულ შტატ
ში ომის ნამდვილი ფსიქოზი ღვივდ
ამერიკის შეერთებული შტატების მ
ნოპოლისტური წრეების რეაქციულ
ძალებმა საბჭოთა კავშირში თანამგზ
რის გაშვების ფაქტი განმარტ
როგორც ამერიკის შეერთებულ
შტატების წინააღმდეგ ომის მუ
რა. საბჭოთა კავშირის მხრივ ომ
მუქარის შესახებ ხმაურში სურთ გ
დიდონ გადასახადები, დააკისრ
ხალხს ახალი ტვირთი, კიდევ უფრო გ
ნავითარონ სამხედრო მრეწველო
რომ რაც შეიძლება მეტი მოგება მ
იღონ. რა საჭიროა ეს? ახლა ამერიკ
შეერთებულ შტატებში ხომ იქამდე მ
ვიდნენ, რომ დაიწყეს ლაპარაკი ჰი
ლერისა და გერინგის ენით „ნაკლე
კარაქი, მეტი ზარბაზნებიო". ხოლ
ნაკლები კარაქი და მეტი ზარბაზნე
— ეს ნიშნავს შელახო მუშის, მოსამ
ხურისა და საერთოდ მშრომელის ბ
ჯეტი. რა საჭიროა ეს? საბჭოთა კ
შირი არ ემუქრება ამერიკის შეერთ
ბულ შტატებს. ჩვენ გვსურს ვცხოვრო
დეთ არა მარტო მშვიდობით, არამედ მ
გობრობითაც. მაგრამ ეს თქვენი ი
უწინარეს ყოვლისა, თქვენი მთავრობ
საქმეა და პასუხისმგებლობა მას ეკ
რება. ჩვენ ჩვენი მხრივ მზად გვეყოლ
ბა ჩვენი შეიარაღებული ძალები, რ
მათ შეეძლოთ მოიგერიონ აგრესია.

ჩვენი მთავარი ღონისძიებანი მიმა
თული იქნება იმისკენ, რომ მოვიგო
შეჯიბრება ეკონომიკის განვითარებ
ში. ახლა პარტია და საბჭოთა მთავრო
მთავარ ყურადღებას აპყრობენ ჩვე
სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმა
ლობას, საბინაო მშენებლობის განვ
თარებას, სახალხო მოხმარების საქო
ლის წარმოების გადიდებას იმ მიზნი
რომ მოკლე ისტორიულ ვადაში გავ
სწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებ
ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებშ
რა თქმა უნდა, წარმოების უფრო მაღ
ლი დონეა, ვიდრე საბჭოთა კავშირშ
და ეს სავსებით გასაგებია, სამრეწვ
ლო განვითარების გზას ამერიკის შ
ერთებული შტატები გაცილებით უფ
რო ადრე დაადგნენ, ვიდრე რუსეთ
მაგრამ ახლა, ოქტომბრის რევოლუცი
სა და სოციალიზმის გამარჯვების შ
დეგ, ეს განსხვავება ჩვენს ქვეყნებ
შორის მცირდება და შორს არ არის
დრო, როცა საბჭოთა კავშირი ეკონომ
კაში ამერიკის შეერთებულ შტატებ
წინ იქნება და ჩვენ უზრუნველვყოფ
ჩვენი ხალხის ცხოვრების უფრო მ
ღალ დონეს. და ეს კიდევ უფრო მეტ
დაარწმუნებს ყველა ადამიანს სოცი
ლისტური სისტემის უპირატესობაშ
კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

რ. კონსიდაინი. ამერიკის შეერთ
ბულ შტატებში ერთგვარი გაუგებრო
გამოიწვია ტერმინმა „ავანტიურიზმ
საგარეო პოლიტიკაში", რომელიც გ
მოყენებული იყო ჟუკოვის მიმართ
მინდა გკითხოთ, რას ნიშნავს კონკრე
ტულად „ავანტიურიზმი საგარეო პო
ლიტიკაში?"

ნ. ს. ხრუშჩოვი. არარეალური საგ
რეო და საშინაო პოლიტიკის განხორ
ციელება — აი ეს არის ავანტიურიზმ
უნდა გაიგოთ ისე, როგორც დაწერი
ლია.

რ. კონსიდაინი. მხედველობაში მ
დებული იყო თუ არა კონკრეტულ
ქვეყნები ან კონკრეტული კრიზისებ
როგორც, მაგალითად, სირიაში ან უნგ
რეთში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. სირიასა და უნგრე
ამ შემთხვევასთან არავითარი დამო
დებულება არა აქვთ. ეს როდი იყო ე
თი კაცის პოლიტიკა, ეს იყო საბჭოთ
მთავრობის, მათ შორის აგრეთვე ამ
ჟუკოვის პოლიტიკა, რომელიც ასეთ
ვე პოზიციებზე იდგა.

ვ. რ. ჰერსტი. ბ-ნო ხრუშჩოვ, თქვე
ინტერვიუში ბ-ნ რესტონისადმი „ნი
იორკ ტაიმსიდან" თქვენ თქვით, რომ
გაქვთ იმის უცილობელი დამამტკიცე
ბელი საბუთები, რომ ამერიკის შე
თებული შტატები აქეზებენ ზოგიერ
ქვეყანას სირიის წინააღმდეგ შეია
ღებული გამოსვლისათვის. მიბრძან
შეგიძლიათ თუ არა ახლა გამოაქვე
ნოთ ეს დამამტკიცებელი საბუთებ
თუ ასეა, ჩვენ ძალიან გვსურს პირა
ლებმა მივიღოთ ეს საბუთები.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

საგაზეთო-საგამომცემლო ტრესტის მეთაურთან ვ. რ. ჰერსტთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ნ. ს. ხრუშჩოვი. თუ თქვენ ცუდი დამოკიდებულება არა გაქვთ ბ-ნ პრეზიდენტთან და ბ-ნ დალესთან, ჰკითხეთ მათ ამ დამამტკიცებელი საბუთების შესახებ, მათ შეუძლიათ ყველაფერი გითხრან, რადგან კარგად იციან ამ საქმის ყველა გარემოება. ჩვენც ვიცით. თუ თქვენ გსურთ მიიღოთ ასეთი დოკუმენტების დედნები, ისინი, თუ მოისურვებენ, მოგცემენ ამ დოკუმენტებს, რა თქმა უნდა, თუ თქვენს შორის არის ნდობის ურთიერთობა. ჩვენ ეს ცნობები მივიღეთ მესამე-მეოთხე პირებისაგან.

თავის დროზე ისტორიისათვის ჩვენ მივცემთ ამ ნამდვილ დამამტკიცებელ საბუთებს, ვუჩვენებთ, რომ ზოგიერთი ადამიანი, უკავია რა მაღალი პოსტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და იმოწმებს ღმერთს, სჩადის ისეთ საქმეებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ადამიანის სინდისს, სწორედ ისინი აქეზებდნენ თურქეთს სირიის წინააღმდეგ ომისათვის. ახლა ამ ცნობებს არ ვამჟღავნებთ, რადგან გონივრული არ იქნება დავკარგოთ მომავალში ამგვარი მასალები. მაგრამ ისტორია ამას აუცილებლად შეიტყობს. შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ამაში.

ვ. რ. ჰერსტი. ისინი უკვე უარყოფდნენ ამას საჯაროდ და, კერძოდ, დალესი უარყოფდა პირად საუბარში ჩემთან.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე წავიკითხე მათი საჯარო განცხადებები. მაგრამ მე ხომ კარგად ვიცი, რომ ისინი უარყოფენ იმას, რის უარყოფაც შეუძლებელია. ჩვენ, რომ ახლა კიდევაც მოგცეთ ეს მასალები, ისინი მაშინაც გასაგები მიზეზებით დაიწყებდნენ ამის უარყოფას. თურქეთის მოღვაწეებმაც კარგად იციან ეს, თუმცა ისინიც დაიწყებენ უარყოფას. მაგრამ როგორც ამერიკელი, ისე თურქი მოღვაწეები გულში აღიარებენ, რომ ჩვენ გამოვამჟღავნეთ მათი ზრახვები, ჩავფუშეთ ეს ავაზაკური ავანტიურა, რომელიც შეიძლება გაჩაღებულიყო და დიდ მსხვერპლად დაუჯდებოდა კაცობრიობას. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ომის ეს კერა, რომლის გაჩაღებაც სურდათ იმპერიალისტებს, ქრება.

რ. კონსიდაინი. არსებობს თუ არა ახლაც სირიაში დაძაბული ვითარება?

ნ. ს. ხრუშჩოვი. დაძაბულობა ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ დაძაბულობა მცირდება, კლებულობს. ყველაფერი დამოკიდებულია ამერიკის შეერთებულ შტატებზე, იმიტომ რომ მათ წამოიწყეს ეს საქმე, ხოლო როცა დაინახეს, თუ რას გამოიწვევდა იგი, შეცვალეს თავიანთი გეგმები. თუ დაძაბულობა ლიკვიდირებულ იქნა, ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებით.

ვ. რ. ჰერსტი. ბატონო ხრუშჩოვ, თქვენ ნამდვილად გულწრფელად მიგაჩნიათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ომი სურთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. როდესაც ჩვენ ვამბობთ — ამერიკის შეერთებული შტატები, ვგულისხმობთ თქვენი ქვეყნის გარკვეულ წრეებს. თუ ვილაპარაკებთ ამერიკელ ხალხზე, მშრომელებზე, ინტელიგენციის მეტ ნაწილზე, ისინი, უეჭველია, ომის წინააღმდეგი არიან. თუ ვილაპარაკებთ ბურჟუაზიაზე, მის მნიშვნელოვან ნაწილსაც არა სურს ომი. ომი სურთ მსხვილ მონოპოლისტებს, რომლებიც მდიდრდებიან გამალებული შეიარაღებით და ყოველნაირად ცდილობენ გააღვივონ „ცივი ომი“, ხოლო „ცივ ომს“, თუ იგი არ შეწყდა, ადრე თუ გვიან შეიძლება მოჰყვეს ცხელი ომი. გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ პოლიტიკა ძალიან საშიში პოლიტიკაა.

ვ. რ. ჰერსტი. მინდა მთელი გულწრფელობით გითხრათ, რომ სწორედ იმავე მიზეზებით, რომლებითაც თქვენ არა გსურთ ომი, იმიტომ რომ ეწევით მშვიდობიან მშენებლობას, ხოლო ომს შეიძლება მოჰყვეს ნგრევა, სწორედ ამავე მიზეზებით ამერიკის შეერთებულ შტატებში არავის არა სურს ომი. ჩვენ გვესმის, რომ ომს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებით მოჰყვება უდიდესი ნგრევა. ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველას ესმის: პრეზიდენტსაც, ბ-ნ დალესსაც, კაპიტალისტებსაც, მონოპოლისტებსაც. თქვენ თვითონ თქვით, რომ ცხოვრების დონე ჩვენს ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე თქვენში, მაშასადამე, ჩვენ უფრო მეტად არა გვსურს ომი, რადგან ჩვენ მეტს დავკარგავთ ამ ომში. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არც ერთ კაცს არა სურს ომი. მე ამაში დარწმუნებული ვარ ისევე ძლიერ, როგორც თქვენ ხართ დარწმუნებული, როცა ამბობთ, რომ გსურთ მშვიდობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მაშ რაღა გვიშლის ხელს შევთანხმდეთ „ცივი ომის“ ლიკვიდაციის შესახებ? მოდით მოვსპოთ „ცივი ომი“ და მივაღწიოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. „ცივი ომის“ ნაცვლად უკეთესია თანდათანობით ვიაროთ ჩვენს სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების გზით.

მინდა მოგაგონოთ ზოგიერთი კონკრეტული წინადადება, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობის შენელებისა და ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით. დაახლოებით ორი წლის წინათ საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიმართა წინადადებით დაედოთ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. ეს კარგი დასაწყისი იქნებოდა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვა ასეთი ხელშეკრულების დადებაზე. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა ეს უარი იმით ახსნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც მშვიდობისათვის ბრძოლის მიზნებს ემსახურება. დიახ, არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია ემსახურებოდეს ამ მიზნებს, მაგრამ არსებობენ სამხედრო ბლოკებიც, რომლებიც სხვა მიზნებს ემსახურებიან. საკითხავია, განა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ასეთი ხელშეკრულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების საწინააღმდეგო იქნებოდა? უეჭველია, არ იქნებოდა. როგორც ჩვენში ამბობენ, ფაფას კარაქით ვერ გააფუჭებთ. თუ იმ ვალდებულებათა დამატებით, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოებს აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით, ჩვენი ქვეყნების მთავრობები იკისრებდნენ დამატებით ვალდებულებებს ერთიმეორის მიმართ, ეს სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ხალხებისათვის და მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით: მოდით შევთანხმდეთ იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც შედიან სამხედრო ბლოკებში — ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებაში, — იმაზე, რომ დავდოთ შეთანხმება თავდაუსხმელობის შესახებ. ეს აგრეთვე ხელს შეუწყობდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში დაძაბულობის ლიკვიდაციას, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა „ცივი ომის“ თანდათანობით ლიკვიდაცია და სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება. მაგრამ ვერც ამ ჩვენმა წინადადებამ ჰპოვა გამოხმაურება დასავლეთის სახელმწიფოებში.

ვაჭრობაში დისკრიმინაციაზე უარის თქმა აგრეთვე იქნებოდა ურთიერთობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი პირობა. ერთი სიტყვით, არის ბევრი შესაძლებლობა, რომელთა გამოყენებით და კეთილი ნების გამოჩენით შეიძლება მივაღწიოთ ურთიერთგაგებას, რომ ვიცხოვროთ მშვიდობით და მეგობრობით და არ შევქმნათ ომის ფსიქოზი.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საბჭოთა კავშირს სურს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სჯობს ვაწარმოოთ მშვიდობიანი შეჯიბრება და არა შეჯიბრება მოსპობის საშუალებათა წარმოებაში. ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება დიდი ნაბიჯი იქნებოდა ყველა ქვეყანას შორის მშვიდობის განმტკიცების გზაზე, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებაში. ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისათვის და მთელ ძალებს ვახმართ ამ მიზნის მიღწევას.

მერწმუნეთ, ბატონებო, რომ ჩვენ მხოლოდ მშვიდობა და მეგობრობა გვსურს. საბჭოთა კავშირს აქვს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები წყალბადის ჭურვით. მაგრამ მე უკვე განვაცხადე ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით, საბჭოთა ხალხის სახელით, და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩვენ ასეთ რაკეტს არასოდეს არ გავგზავნით ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, თუ ამას არ გვაიძულებენ თვით ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენს წინააღმდეგ უშუალოდ ან თავიანთი სატელიტების მეშვეობით ომის დაწყებით. საბჭოთა კავშირი არასოდეს არ გამოიყენებს პირველი იარაღს, მათ შორის ატომურ და წყალბადის იარაღს, არამედ ეს იარაღი ექნება იმისათვის, რომ სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესორს.

მშვიდობიან შეჯიბრებაში კი შევეცდებით უზრუნველვყოთ ჩვენთვის პირველობა. აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საბჭოთა ადამიანები შეტევაზე გადავლენ. მაგრამ ეს ისეთი შეტევა იქნება, რომელშიც ადამიანები არ დაიღუპებიან, არამედ, პირიქით, გაიუმჯობესებენ ცხოვრებას, აიმაღლებენ ეკონომიკისა და კულტურის დონეს. როცა შეერთებულ შტატებს იწვევს შეჯიბრებაში, რომ აწარმოონ მეტი ხორცი, კარაქი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აშენონ მეტი კარგი ბინები, გამოუშვან მეტი ტელევიზორები, რადიომიმღებები, მტვერსასრუტავები და სხვა საქონელი და საგნები, რომლებიც ადამიანს ესაჭიროება, საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. თქვენ გემუქრებიან არა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით. თქვენ გემუქრებათ მშვიდობიანი შემოტევა, მშვიდობიანი შეჯიბრება მოხმარების საგნებისა და იმ საგნების წარმოებაში, რომლებიც აუმჯობესებენ ადამიანთა კულტურასა და ყოფაცხოვრებას. აქ ჩვენ შეუბრალებელნი ვიქნებით. ეს შეჯიბრება ცხადყოფს, რომელი სისტემაა უკეთესი. მე მინდა, ბ-ნო ჰერსტ, თუნდაც ნეიტრალური გაგხადოთ მშვიდობისათვის ბრძოლაში. (სიცილი).

ვ. რ. ჰერსტი. მე აგრესორი არა ვარ და არასოდეს არა ვყოფილვარ. ჩვენ არა ვართ ჩვენი ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლები. ჩვენ მხოლოდ ჟურნალისტები ვართ. მაგრამ მინდა ვთქვა, რომ, ვიღებთ რა ამ გამოწვევას შეჯიბრებაში მშვიდობიან ფრონტზე, ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების ფრონტზე, შინ დაბრუნების შემდეგ შევეცდებით, რომ ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალურად მიიღოს ეს გამოწვევა.

ფ. კონიფი. ვცდილობ წავიკითხო ყველა თქვენი გამოსვლა. მახსოვს, თქვენ მოიყვანეთ ლენინის სიტყვები, რომ საჭიროა მთელი ძალებით ცდილობდეთ შეინარჩუნოთ პარტიაში ამხანაგები, რომლებიც დროებით დასცილდნენ პარტიის ხაზს, თუ ისინი ამასთან თავიანთი არსებით კარგი და პატიოსანი ადამიანები არიან. მთელი ძალებით უნდა ცდილობდეთ დააბრუნოთ ასეთი ადამიანები სწორ გზაზე. მიბრძანეთ, არ შეიძლებოდა ამ თვალსაზრისის გამოყენება ჟუკოვის მიმართ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მარშალ ჟუკოვი პარტიიდან არ გაურიცხავთ, იგი ჩვენი კომუნისტური პარტიის წევრია. იგი დიდი სამხედრო სპეციალისტია, და დარწმუნებული ვართ, რომ თავის ძალებსა და ცოდნას მოახმარს ჩვენი პარტიის საქმეს, ხალხის საქმეს. პარტიამ იგი დასაჯა, მაგრამ იგი დასაჯა დაშვებული პოლიტიკური შეცდომებისათვის, რომლებიც მან თვითონ აღიარა.

რ. კონსიდაინი. თქვენ თქვით, რომ ომის შემთხვევაში ამერიკის ბაზებს როგორც თვით ამერიკაში, ისე უცხოეთში დაანგრევენ საბჭოთა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური ყუმბარები. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ისინი უკვე ახლა სპეციალურად დამიზნებული არიან ყველა ამ ობიექტისათვის?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს უნდა ვკითხოთ გენერალური შტაბის უფროსს, რადგან ეს არ შედის ჩემს მოვალეობაში. გენერალური შტაბი სწორედ იმისათვის არსებობს, რომ ომის შემთხვევაში მზად იყოს მოსპოს ის ცენტრები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ომის უსწრაფესი შეწყვეტისათვის, მოწინააღმდეგის განადგურებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მსურს გამოვთქვა აზრი ამერიკის სამხედრო წრეების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებათა გამო, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა. იუწყებოდნენ, რომ თითქოს ამერიკის ბომბდამშენების ნაწილი წყალბადისა და ატომური ბომბებით მუდამ ჰაერშია და ყოველთვის მზად არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამოქმედოდ. ამტკიცებენ, რომ ჰაერშია თვითმფრინავთა რაოდენობის ნახევარი.

ეს მეტად საშიში საქმეა. ასეთი მდგომარეობა იმას მოწმობს, თუ რამდენ ძლიერ არის გავრცელებული ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის ფსიქოზი. როცა ჰაერში აჰყავთ თვითმფრინავები წყალბადის ბომბებით, ეს ნიშნავს, რომ ბევრი ადამიანი იქნება ჰაერში თვითმფრინავების საჭესთან. ყოველთვის შეიძლება მოხდეს ნორმალური ფსიქიკის შეფერხების შემთხვევა და მფრინავს შეუძლია უმცირესი სიგნალი მიიღოს მოქმედების დაწყების სიგნალად და გაფრინდეს იმ ობიექტის წინააღმდეგ, რომლისკენ გაფრენის დავალებაც მიიღო. ასეთ პირობებში ომი შეიძლება სრულიად შემთხვევით დაიწყოს, იმიტომ რომ მაშინვე დაიწყება საპასუხო მოქმედება.

განა ეს არ მეტყველებს, რომ ომი ასეთ შემთხვევაში შეიძლება დაიწყოს შემთხვევითი გაუგებრობის ან ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის დარღვევის შედეგად, რაც შეიძლება ყველა ადამიანს მოუვიდეს. უნდა გამოირიცხოს ასეთი საშინელი შესაძლებლობა. შესაძლებელია, ერთი მხარეც და მეორეც ომის წინააღმდეგი იყოს, და ომი შესაძლოა მაინც გაჩაღდეს ომის ფსიქოზის შედეგად, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა.

ვ. რ. ჰერსტი. ეს ძლიერ საინტერესო აზრია. ასეთი საუბარი არა მსმენია. მე სამხედრო პირი არა ვარ, მაგრამ არა მგონია, რომ ჩვენი თვითმფრინავების რაოდენობის ნახევარი ჰაერში იყოს. აი ბატონი კონსიდაინი მიკარნახებს, შესაძლებელია ერთი მესამედიო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თუნდაც ერთი თვითმფრინავი ერთი ატომური ან წყალბადის ბომბით რომ ჰაერში იქნეს, ამ შემთხვევაში უკვე მთავრობა კი არ წყვეტს ომის საკითხს, არამედ მფრინავი. ხოლო ეს, როგორც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, საშინელი რამეა.

ვ. რ. ჰერსტი. ეს ძალიან საინტერესო აზრია.

რ. კონსიდაინი. ბ-ნო ხრუშჩოვ, ამერიკაში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს დედამიწის საბჭოთა თანამგზავრებმა. ეს ჭეშმარიტად მომხიბლავი, ზღაპრული მიღწევაა. მაგრამ ახლა მიმდინარეობს საერთაშორისო გეოფიზიკური წელი, რომლის განმავლობაშიც ნავარაუდევია, რომ ერთმანეთს გადასცემენ სხვადასხვა ინფორმაციას. ჩვენ გვსურს ვიკითხოთ: დაეხმარება თუ არა რუსეთი ამერიკას თანამგზავრის გაშვებაში, მზად არის იგი თუ არა მოგვცეს ცნობები?

ნ. ს. ხრუშჩოვი. სიამოვნებით.

რ. კონსიდაინი. და დაურთავდით აგრეთვე ცნობებს იმ რაკეტის ხასიათის შესახებ, რომელმაც ეს თანამგზავრი აიყვანა, ცნობებს იმ ძლიერი სათბობის შესახებ, რომელიც გამოყენებული იყო?

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა თქმა უნდა, თუ შევთანხმდით განიარაღების შესახებ. ჩვენ არ ვმალავთ, რომ თანამგზავრი გაშვებულ იქნა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის საფუძველზე. თქვენც კარგად გესმით, რას ნიშნავს ეს, თუ გაგიზიარეთ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების წარმოების საიდუმლოება. ჩვენ არ ვიცით, როდის გააკეთებენ ამერიკის შეერთებული შტატები ასეთ რაკეტს — ეს ხომ იოლი საქმე არ არის. მე დასაშვებად მიმაჩნია ისეთი მდგომარეობაც, რომ შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ ძლიერ დიდხანს ვერ შექმნიან საკონტინენტთაშორისო რაკეტს. მაგრამ ასეთი რაკეტების დამზადების საიდუმლოებაზე ლაპარაკი ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ პირობით, როცა თქვენ მოახდენთ „ცივი ომის“ მდგომარეობის ლიკვიდაციას და ჩვენი ქვეყნები ერთმანეთს შეეჯიბრებიან მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან ასპარეზზე.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირმა პირველმა გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, ხოლო ერთი თვის შემდეგ გაუშვა მეორეც, ბევრ რამეს მეტყველებს. თუ საჭირო იქნა, ჩვენ ხვალ გავუშვებთ ათეულ, ორ ათეულ თანამგზავრს. ამისათვის საჭიროა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებში შეიცვალოს მხოლოდ თავი, ყუმბარის წყალბადის ბირთვის ნაცვლად დაიდგას სათანადო აპარატურა და ასეთი ნაგებობა გაშვებულ იქნას ამ აპარატურით. ესეც თქვენი თანამგზავრი.

საბჭოთა კავშირი მზად არის ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუზიაროს ინფორმაცია ამ დარგში, აჩვენოს, და არა მხოლოდ აჩვენოს, არამედ თქვენთან ერთად ზღვაში ჩაყაროს ყველა ბალისტიკური რაკეტი, რათა უზრუნველყოს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა ჩვენს ქვეყნებს შორის, და, მაშასადამე, მთელ მსოფლიოშიც. მაგრამ ყოველივე ეს განიარაღების პირობით, ჩვენი სახელმწიფოების მშვიდობიანი შეჯიბრების პირობით, ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობის პირობით, მიუხედავად მათი სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ვ. რ. ჰერსტი. მე წავიკითხე თქვენი ძლიერ საინტერესო წინადადება რაკეტების სროლაში შეჯიბრების შესახებ. ეს ძალიან კარგი იქნებოდა, როცა ჩვენ ასეთი რაკეტები გვექნება. შევეჯიბროთ ერთმანეთს, და მაშინ შეიძლებოდა გადაგვეგდო ისინი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენც ამისი მომხრე ვართ, ხოლო უკანასკნელი კარგი იქნებოდა რაც შეიძლება მალე გაგვეკეთებინა — გადაგვეგდო ისინი. (სიცილი).

ვ. რ. ჰერსტი. თქვენ, ცხადია, მოუთმენლად ელოდებით, თუ როდის გადავწყვეტთ ჩვენ პირველ ნაწილს — შევქმნით რაკეტებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვფიქრობ, რომ თქვენ, ბოლოს და ბოლოს, მაინც შექმნით საკონტინენტთაშორისო რაკეტს, თუმცა, ვიმეორებ, ეს ადვილი საქმე როდია. ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ საჭირო ცოდნა და შეუძლიათ შექმნან ასეთი რაკეტი, მაგრამ როდის, — ამისი თქმა არ შემიძლია.

ვ. რ. ჰერსტი. ეს ხუმრობით შენიშვნის წესით ვთქვი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამერიკელებს ეგონათ, რომ ჩვენ ვერ შევქმნიდით საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტს, და მოტყუვდნენ ამ საქმეში.

ვ. რ. ჰერსტი. სავსებით სწორია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამერიკელების შესახებ ჩვენ ასე არ განგვიცხადებია და არც ვაცხადებთ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, — საბჭოთა კავშირმა პირველმა შექმნა საკონტინენტთაშორისო რაკეტი, მაშასადამე, აქ ჩვენი პრიორიტეტია და ეს საშუალებას გვაძლევს სრულვყოთ რაკეტების შექმნა, გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ საქმეში, დავაგროვოთ რაკეტების საჭირო მარაგი, თუ განიარაღების შესახებ ვერ შევთანხმდით.

რ. კონსიდაინი. ბ-ნო ხრუშჩოვ, თქვენი ურთიერთობა პოლონეთსა და იუგოსლავიასთან დამაკმაყოფილებლად გადაიჭრა, და ახლა თვითეული ქვეყანა თავისი გზით მიდის სოციალიზმისაკენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ ამის მიხედვით, უნგრეთში შექმნილი ვითარებაც შეიძლებოდა გადაჭრილიყო შეიარაღებული ძალების გამოუყენებლად?

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, შეიძლებოდა გადაჭრილიყო. მაგრამ იქ რამდენადმე სხვანაირად მოხდა ამბების განვითარება. იმპერიალისტებმა შეთქმულება მოაწყეს სახალხო უნგრეთის წინააღმდეგ. მოთაშისტო ავაზაკებმა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც უცხოეთიდან იყო შემოგზავნილი, იწყეს პროგრესული ადამიანების ჟლეტა. უნგრეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის მთავრობას სთხოვა დახმარებოდა კონტრრევოლუციური ბანდების ალაგმვაში, და საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ერთგულად იცავს ხელშეკრულებით ნაკისრ თავის ვალდებულებებს, სოციალისტური ქვეყნებისათვის ძმური მხარდაჭერის პრინციპებს, გაუწია ასეთი დახმარება. და ახლა სოციალისტური უნგრეთი განუხრელად იზრდება და ვითარდება. უნგრეთის ამბები გაკვეთილად უნდა გამოიყენონ რეაქციის ძალებმა, რათა, როგორც რუსული ანდაზა ამბობს, ჯერ ფონი მონახონ და შემდეგ ჩაიდინონ წყალში.

მინდა დავუბრუნდე სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხს. ამას წინათ წავიკითხე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ეიზენჰაუერის გამოსვლა ოკლაჰომა-სიტიში. ამ გამოსვლის ზოგიერთი დებულებანი მომეწონა. მინდა გაგახსენოთ ზოგი რამ პრეზიდენტის გამოსვლიდან. „მიზანი, რომელსაც ჩვენ ვესწრაფვით, — განაცხადა მან, — არის მშვიდობა სამართლიანობის პირობებში...“ ჩვენც ამის მომხრე ვართ. „ეს მშვიდობა, — ამბობს შემდეგ ბ-ნი ეიზენჰაუერი, — შეიძლება დადგეს ჩვენი ქვეყნისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ყველა ქვეყნისათვის დადგება...“ ჩვენც ამას ვემხრობით. ჩვენ მოვითხოვთ მშვიდობას არა მარტო თვითონ ჩვენთვის, არამედ ყველა ქვეყნისათვის, მთელი კაცობრიობისათვის.

შემდეგ ბ-ნი ეიზენჰაუერი ამბობს: „კაცობრიობას იმედი აქვს, რომ სსრ კავშირი ყველა ჩვენთან ითანამშრომლებს ამ მიზნის მიღწევის საქმეში...“ ბ-ნ პრეზიდენტს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენი მხრივ მთელ ძალებს მოვახმართ იმას, რომ ვითანამშრომლოთ ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც, მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. „ჩვენ არასოდეს არ ვიქნებით აგრესორი“, — თქვა პრეზიდენტმა. ეს კარგი ნათქვამია. „ჩვენ მეტი არა გვინდა რა, გარდა სათანადო დონის უშიშროებისა, მაგრამ ამაზე ნაკლებს არაფერს დავჯერდებით“, — განაცხადა ბ-ნმა ეიზენჰაუერმა. საბჭოთა კავშირი აგრეთვე თანახმაა, რომ საჭიროა ვიზრუნოთ უშიშროებისათვის, მაგრამ ამ საკითხს გონივრულად უნდა მივუდგეთ, რათა ასეთ მისწრაფებას არ მოჰყვეს გამალებული შეიარაღება, როგორც ეს ამჟამად ხდება. ისტორიამ ხომ უკვე ცხადყო, რომ ყოველი გამალებული შეიარაღება ბოლოს და ბოლოს ომით თავდება. ამიტომ საჭიროა შევწყვიტოთ გამალებული შეიარაღება, რათა არ გახდეს შესაძლებელი ომის პროვოცირება, ჩვენ კი გვჯერა, რომ ბ-ნ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ეს არა სურს.

„მე ყოველთვის მწამდა, — ამბობს ბ-ნი ეიზენჰაუერი, — რომ პატიოსნებისა და თავისუფლების საბოლოო ტრიუმფი ამ ქვეყნად გარდუვალია. მაგრამ, როგორც ერთხელ ერთმა ბრძენმა ამერიკელმა შენიშნა, იმისათვის, რომ ეს გარდუვალ რეალობად იქცეს საჭიროა მრავალი ადამიანის დიდი მუშაობა და დიდი მსხვერპლი“. ეს მთლად გასაგები არ არის, იმიტომ, რომ ეს სიტყვები შეიძლება სხვადასხვაგვარად განვმარტოთ. მაგრამ მე მინდა დავიჯერო, რომ ეს იმ აზრით არის ნათქვამი, რომ პრეზიდენტს სურს იმუშაოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. თუ ეს ასეა, და ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად, როგორც ბ-ნი ეიზენჰაუერი ამბობს, არასოდეს არ იქნებიან აგრესორი, ხოლო საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, აგრესორი არასოდეს არ იქნება, მაშ მოდით, შევთანხმდეთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ. თუ ამას მივაღწიეთ, მთელი კაცობრიობა შვებით ამოისუნთქავს. ასეთი ნაბიჯი სასარგებლო იქნება არა მარტო ჩვენი ქვეყნების ხალხებისათვის, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხისთვისაც.

ჩემი სურვილია, რომ თქვენ ეს ჩვენი თვალსაზრისი გადასცეთ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობას და აცნობოთ ბ-ნ პრეზიდენტს.

მაგონდება სასიამოვნო საუბრები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან, რომლებიც ჟენევაში გვქონდა. მახსოვს, როცა ბ-ნმა ეიზენჰაუერმა სადილი გამართა ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად, იგი გატაცებით გვიამბობდა თავის ფერმაზე და თქვა, კერძოდ, რომ ჩემს ფერმას დიდი დამსახურება მიუძღვის ჰიბრიდიზაციის გზით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კარგი ჯიშის გამოყვანაში. გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ამ დარგში მოგვეწყო შეჯიბრება, ვიდრე შეიარაღების დაგროვებაში ვეჯიბრებოდეთ ერთმანეთს.

ანდა, მოდით, მაგალითად, შევეჯიბროთ ერთმანეთს სიმინდის წარმოებაში. მე ბევრი ველაპარაკე ამ თემაზე ამერიკელ სპეციალისტს ბ-ნ ჰარსტს, და მან თავისი სიმინდის ნიმუში მაჩუქა. გაცილებით უფრო სასიამოვნოა სიმინდზე ლაპარაკი, ვიდრე საკონტინენტთაშორისო რაკეტზე. ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობასა და პრესას შეუძლიათ კარგი სამსახური გაუწიონ ხალხებს, თუ ხელს შეუწყობენ შეჯიბრების განვითარებას სწორედ ამ მშვიდობიანი მიმართულებით.

ფ. კონიფი. მე მინდა გკითხოთ, თუმცა ვიცი, რომ კომუნისტ ხელმძღვანელებს ჩვეულებრივად არ უყვართ პირადად თავიანთ თავზე ლაპარაკი, რა იყო თქვენთვის მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე კომუნისტური პარტია და რა არის თქვენთვის იგი ამჟამად პირადი გრძნობების მიხედვით?

ნ. ს. ხრუშჩოვი. კომუნისტური პარტია ჩემთვის იმით არის ძვირფასი, რომ იგი გამოხატავს მუშათა კლასის ინტერესებს, ხალხის ინტერესებს და ჩემს მისწრაფებასა და ოცნებას ახალი საზოგადოების აშენების შესახებ. მე მახარებს ის, რომ, ვიცოცხლე რა მრავალი წელი და დიდხანს ვიმუშავე რა ამ პარტიაში, შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მიდის, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ისეთი კოლოსალური პროგრესი, რომ ჩვენმა ხალხმა გაკაფა გზა, რომლითაც მიდის სხვა ქვეყნების მრავალი ხალხი.

როგორც ყველა კომუნისტი, მე ვოცნებობ მხოლოდ იმაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყველა ადამიანისათვის ბედნიერი ცხოვრება, რომ ყველა ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა, განურჩევლად სარწმუნოებისა, განურჩევლად კანის ფერისა, სრულად სარგებლობდეს თავისი შრომის სიკეთით. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ დავაგროვოთ იმდენი მატერიალური სიკეთე, რამდენიც საჭიროა, რომ ყველა ადამიანი უხვად იყოს უზრუნველყოფილი. და ჩვენ გვწამს, რომ კაცობრიობა მიაღწევს ამას. შეუძლებელია ზუსტად ითქვას, როდის იქნება ეს, მაგრამ ცხადია ერთი რამ — აქეთკენ მიდის კაცობრიობა. მე მახარებს ეს და ჩემი მხრივ ყველაფერს ვაკეთებ, რაც კი ძალმიძს, რათა ხელი შევუწყო ასეთ წინსვლას.

თქვენ, ბატონო კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლებო, რომ შეგეგნოთ, რა არის კომუნიზმი, რა კეთილშობილური იდეალებისათვის იბრძვიან კომუნისტები, შეგრცხვებოდათ კომუნისტების ძაგება. ბევრს ჯერ კიდევ არ ესმის ის კეთილშობილური მიზანი, რომელიც დასახული აქვთ კომუნისტებს. ეს მიზანი გამოიხატება იმით, რომ უზრუნველვყოთ სრული თავისუფლება ადამიანისათვის, უზრუნველვყოთ საწარმოო ძალებისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის უმაგალითო ზრდა, ხალხთა მატერიალური და სულიერი ძალების განვითარება, კულტურის აყვავება.

მინდა კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვა და, შეიძლება, ამით გავათავოთ ჩვენი საუბარი, რომელიც გაჭიანურდა. ჩვენში არიან პროფკავშირები, მე პროფკავშირის წევრი ვარ და მან უნდა დამიცვას. ახლა კი აღმოვჩნდი ამერიკელი კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებულის მდგომარეობაში. (სიცილი).

დასასრულ უნდა ვთქვა შემდეგი. ჩვენ არა გვსურს თავს მოვახვიოთ რომელიმე ხალხს ჩვენი იდეები იძულების რაიმე საშუალებით და მით უფრო ომით. კომუნისტური მსოფლმხედველობა ადამიანებს შეუძლიათ შეითვისონ მხოლოდ ნებაყოფლობით. თვითეული ქვეყნის ხალხებმა თვითონ უნდა აირჩიონ გზა, რომლითაც ისინი განვითარდებიან. თუ ხალხებს არა სურთ განვითარდნენ სოციალისტური გზით, არავის არ შეუძლია ძალით მოახვიოს თავს და არც უნდა მოახვიოს თავს ასეთი გზა.

ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ საბჭოთა კავშირის, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების, საგარეო პოლიტიკის ურყევი საფუძველია ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი, განურჩევლად მათი სოციალური სისტემისა, სახელმწიფოებრივი წყობილებისა. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქვეყანას შეუძლია უზრუნველყოს და კიდევაც უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანი თანაარსებობა. როგორ განვითარდება თვითეული ქვეყანა — ეს თვითეული ქვეყნის ხალხთა საშინაო საქმეა. მაგრამ როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ქვეყნები ერთ პლანეტაზე არსებობენ. მათ შორის არის ყოველმხრივი ურთიერთობა ეკონომიკის, კულტურის, ტრანსპორტის დარგში და სხვა. ამ ქვეყნებს შეუძლიათ ერთმანეთთან მშვიდობით იცხოვრონ მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირს არასოდეს არ აღუმართავს და არც აღმართავს იარაღს რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ თავს მოახვიოს ამ ქვეყნის ხალხს თავისი იდეოლოგია, თავისი სისტემა. ეს ეწინააღმდეგება ჩვენი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის თვით არსს. ამიტომ ჩვენ გულწრფელად ვამბობთ, რომ გვსურს მეგობრულად ვიცხოვროთ ყველა ხალხთან და მეტად კმაყოფილი ვიქნებით, თუ მივაღწევთ მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს მათს ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან. ეს მოგვცემდა შესაძლებლობას ნამდვილი გიგანტური ნაბიჯით გვევლო „ცივი ომის“ ლიკვიდაციისა და ყველა ქვეყნის ხალხებთან მეგობრობის დამყარების გზით. ჩვენ გვსურს დავამყაროთ კარგი, მეგობრული ურთიერთობა ინგლისთან, საფრანგეთთან, დასავლეთ გერმანიასთან, იტალიასთან, იაპონიასთან, ყველა ქვეყანასთან, რომლებთანაც ჯერ კიდევ არა გვაქვს ასეთი ურთიერთობა. ეს უზრუნველყოფდა მტკიცე მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

რ. კონსიდაინი. ბ-ნო ხრუშჩოვ, თქვენ ლაპარაკობდით ღმერთზე, ლაპარაკობდით სულზე, ადამიანის სრულ სულიერ თავისუფლებაზე კომუნიზმის დროს, მაგრამ რატომ არა აქვს ადგილი კომუნისტურ პარტიაში ადამიანს, რომელსაც სწამს ღმერთი და ადამიანის შინაგანი სულიერი შინაარსი?

ნ. ს. ხრუშჩოვი. თუ ჩვენში ლაპარაკში გვხვდება ისეთი გამოთქმები, როგორც მაგალითად, „ღმერთმანი“, ეს არის მხოლოდ ჩვეულების გამო. ასეთი გამოთქმა ჩვენთვის უდრის გამოთქმას „პატიოსან სიტყვას გაძლევთ“. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ღვთის რწმენა ეწინააღმდეგება ჩვენს კომუნისტურ მსოფლმხედველობას. მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ ვდევნით ადამიანებს, რომლებსაც სწამთ რელიგია, რადგან ეს თვითეული ადამიანის სინდისის საქმეა.

საბჭოთა კავშირში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. მაგრამ თქვენ, ალბათ, იცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრია ეკლესიები, და თვითეულ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

საგაზეთო-საგამომცემლო ტრესტის მეთაურთან ვ. რ. ჰერსტთან

(დასასრული)

მათგანს მოქმედების სრული თავისუფლება აქვს, თუ იგი არ ერევა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. უკეთუ ეკლესიის მსახურნი თავიანთ რელიგიურ საქმიანობას დაუკავშირებენ პოლიტიკურ აგიტაციას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, ეს ჩვენი კონსტიტუციის დარღვევა იქნება. საბჭოთა ხალხი თავისი სახელმწიფოს საქმეებში ეკლესიის ასეთ ჩარევას არ დაუშვებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ უფლის საფლავისათვის არ ვიომებთ. არ შეიძლება საფლავისათვის ომობდე და საფლავებით ფარავდე მსოფლიოს. ოდესღაც კი სისხლისმღვრელი ომები წარმოებდა უფლის საფლავისათვის, ათასობით და ათასობით ადამიანი იღუპებოდა ჯვაროსანთა ლაშქრობებში. მაგრამ ეს დრო უკვე დიდი ხანია ჩაბარდა ისტორიას.

ვ. რ. ჰერსტი. მე მინდა არა შედავების, არამედ შენიშვნის სახით ვთქვა, რომ ისტორიაში მაინც არასოდეს არ ყოფილა ისეთი ცივილიზაცია, არ ყოფილა ისეთი დიდი ქვეყანა, რომელსაც რაიმე ღმერთი არ სწამებოდეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. დაზუსტებისათვის უნდა ვთქვა, რომ არასოდეს არ ყოფილა ისეთი ქვეყანა, სადაც ყველა ადამიანი მხოლოდ ერთი რელიგიის აღმსარებელი ყოფილიყო, რომ ყველა მათ ღმერთი სწამებოდათ. ჩვენშიც არიან ჯერ კიდევ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ღმერთი სწამთ. დაე სწამდეთ. სწამს თუ არა ღმერთი, ეს თვითეული ადამიანის პირადი საქმეა, მისი სინდისის საქმეა. ყოველივე ეს ხელს არ უშლის საბჭოთა ადამიანებს, რომ მშვიდობითა და მეგობრობით ცხოვრობდნენ. ხშირად ისეც არის, რომ ერთ ოჯახში გვხვდებიან მორწმუნენიც და ათეისტებიც. მაგრამ ღვთის მორწმუნეთა რიცხვი სულ უფრო მცირდება — იზრდება ახალგაზრდობა, მას კი, მის დიდ უმრავლესობას, ღმერთი არა სწამს. სახალხო განათლება, მეცნიერული ცოდნის გავრცელება, ბუნების კანონთა შესწავლა ადგილს არ უტოვებს ღვთის რწმენას.

ვ. რ. ჰერსტი. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ შესაძლოა ამაში იმალება ერთი მიზეზთაგანი, რომელთა გამო ჩვენ ყოველთვის ვერ ვაღწევთ შეთანხმებას ერთიმეორესთან. საქმე, შესაძლოა, ის იყოს, რომ როცა ჩვენ ღვთის სახელით სიტყვას ვიძლევით, ამით ვკისრულობთ სულიერ ვალდებულებას, რუსეთს კი შეთანხმებანი მხოლოდ ქაღალდზე რჩება. არ ვიცი, მაგრამ იქნებ როდისმე შევძლოთ ყველა ამ განსხვავების დაძლევა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მინდა ამაზე გიპასუხოთ შემდეგი: ჩვენ, კომუნისტები, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მოღვაწეები, ათეისტები ვართ. მაგრამ ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩვენს ვალდებულებებს, ჩვენს სიტყვას, და არასოდეს არ ვარღვევთ ნაკისრ ვალდებულებებს. ჩვენ ვაფასებთ ადამიანის სიცოცხლეს და მთელ ძალღონეს ვახმართ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ადამიანებისათვის უზრუნველვყოთ კარგი, ბედნიერი ცხოვრება, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი თანასწორი იყოს თავისი უფლება-მოვალეობის მხრივ, რომ მათ ჰქონდეთ ყველა შესაძლებლობა ისარგებლონ თავიანთი შრომის სიკეთით. ჩვენ, კომუნისტები, აქტიურად ვიბრძვით ომის თავიდან აცილებისათვის, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ახალი ომი არ წარმოიშვას. ახლა აიღეთ, მაგალითად, ბ-ნი დალესი. იგი მორწმუნე კაცია და ძალიან ხშირად ევედრება ღმერთს, მოქმედებს მისი სახელით. და აი ბ-ნი დალესი, უფალ ღმერთს რომ ევედრება, თავის ემისარს ბ-ნ ჰენდერსონს გზავნის თურქეთსა და სხვა ქვეყნებში ომის ორგანიზაციისათვის, ადამიანთა დახოცვის ორგანიზაციისათვის. როგორ ეთანხმება ეს ღვთის რწმენის ცნებას? არც ერთი რელიგია არ აკურთხებს ასეთ მოქმედებას. აი სად არის წინააღმდეგობა. ასეთი ადამიანები ცდილობენ საქმე ისე დახატონ, თითქოს ისინი ნამდვილად ხელმძღვანელობენ თავიანთ მოღვაწეობაში „ღვთის ჩვენებით", არსებითად კი ეწევიან საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანობის ყველაზე ძირითად პრინციპებს, მაშასადამე, მთელ ადამიანთა საზოგადოებასაც.

როგორ შეიძლება პარაკლისები იხადონ და ნაკურთხი წყალი ასხურონ იარაღს, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მოსასპობად, გზა დაულოცონ ადამიანებს სხვა ადამიანთა დასახოცავად მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ადამიანები სხვა ენაზე ლაპარაკობენ ან სხვა სარწმუნოებას აღიარებენ. მაგრამ ხომ სწორედ ასე იქცევა ზოგიერთი მღვდელი. განა ეს არის ადამიანობისა და პატიოსნების უმაღლესი სულიერი გამოხატულება? არა, ეს ნიღაბია. ღვთის სახელით ხშირად ინიღბებიან იმისათვის, რომ მორწმუნეთა გრძნობები გამოიყენონ და ადამიანები მოატყუონ. მაგრამ ეს ხომ მარტოოდენ ფარისევლობაა, არც თუ ცოტაა ადამიანები, რომლებიც ღვთის სახელით ფარავენ თავიანთ დანაშაულებრივ, ანტისაზოგადოებრივ მოქმედებას. ჩვენ ასეთი ადამიანების წინააღმდეგ მუდამ ვიბრძოლებთ, ვამხილებთ მათს მოქმედებას, დავანახვებთ ადამიანებს მორალური და სულიერი განთავისუფლების ჭეშმარიტ გზებს. ამ ბრძოლაში გამარჯვება ჩვენს, სოციალისტურ წყობილებას დარჩება. და თქვენ ვერასოდეს ვერ აამხედრებთ ამერიკელ ადამიანებს ჩვენს წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ ჩვენ ათეისტები ვართ. როგორც კი ისინი შეიგნებენ ჩვენი მიზნების, ჩვენი მოქმედების კეთილშობილებას, ზიზღით იბრუნებენ პირს იმათგან, ვისაც სურს აამხედროს ისინი ჩვენს წინააღმდეგ და ვინც მათ აყენებს ახალი ომის გზაზე, რომელიც კაცობრიობას ბევრ სისხლსა და უდიდეს მსხვერპლს შეიწირავს.

მე მაგონდება ერთ დროს წაკითხული ერთი მოთხრობა, სადაც აღწერილია ასეთი შემთხვევა — ყაჩაღებმა კაცი მოკლეს და გაძარცვეს. ამასთან ნაძარცვ ქონებაში იპოვნეს ნაჭერი ქონი. რამდენიმე ხნის შემდეგ ყაჩაღებმა გადაწყვიტეს დაესვენათ და შეეჭამათ ქონი. ის იყო დაიწყეს ქონის განაწილება ერთმანეთს შორის, რომ ერთმა ყაჩაღთაგანმა იკითხა: რა დღეა დღეს? მას უპასუხეს, რომ ოთხშაბათი, ან პარასკევი უნდა იყოსო. (არ მახსოვს, რომელი დღეა დასახელებული მოთხრობაში). მაშინ მან განაცხადა, რომ ქონის ჭამა არ შეიძლება, რადგან მართლმადიდებელი ეკლესია ოთხშაბათსა და პარასკევს ხორცის ჭამას კრძალავსო. ხედავთ, რა გამოდის — ყაჩაღებმა კაცი მოკლეს, წაართვეს სიცოცხლე, წაართვეს ყველაფერი, რაც კი ებადა, მაგრამ ქონი, რომელიც მოკლული კაცის ქონებიდან აიღეს, არ შეჭამეს: ეშინოდათ, რომ ცოდვას ჩაიდენდნენ, რადგან ღვთისაგან თითქოს აკრძალულია ამ დღეს სახსნილოს ჭამა.

განა დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის საქმენი არ მოგაგონებთ ადამიანთა ისეთ მკრეხელურ საქციელს, როგორიც ამ მოთხრობაშია აღწერილი? ისინი ხომ, ეფარებიან რა ღვთის სახელს, ხშირად სჩადიან ისეთ საქმეებს, რომლებსაც დაღუპვა მოაქვთ ათასობით და მილიონობით ადამიანისათვის.

ერთ დროს კოლონიზატორები, რომლებსაც გამდიდრების წყურვილი ამოქმედებდა, დამონებულ ქვეყნებში ჯარებთან ერთად აუცილებლად გზავნიდნენ თავიანთ მღვდლებს და, ასე ვთქვათ, მახვილითა და ჯვრით იმორჩილებდნენ ხალხებს. კოლონიზატორებს დამონებულ ქვეყნებში თან მიჰქონდათ ჯვარი და სახარება, ისინი თავს ახვევდნენ ხალხს თავიანთ რელიგიას. ისინი უტოვებდნენ ხალხს სახარებას, სიმდიდრე კი თავისთვის მიჰქონდათ. მთელმა მსოფლიომ იცის ამ მკრეხელობის, ამ მოტყუების ამბავი. ასე რომ უმჯობესია ნუ ლაპარაკობთ იმაზე, თუ როგორ ვრცელდებოდა რელიგია ხალხში, ნუ ევედრებით ღმერთს შემწეობას ექსპლოატირებული და ჩაგრული ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველივე ეს ცნობილი ხერხებია, რომლებიც მშრომელმა ხალხმა უკვე იგემა.

რ. კონსიდაინი. შარშან მელბურნში მე ოლიმპიურ ასპარეზობაზე საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვების მოწმე ვიყავი. ეს გამარჯვება სიურპრიზი იყო ბევრისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენთვის, ამერიკელებისათვის, რომლებიც დავეჩვიეთ, რომ შეერთებული შტატები იმარჯვებენ ასეთ შეჯიბრებებში. ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, ხომ არ აპირებთ შესთავაზოთ მოსკოვი ოლიმპიური ასპარეზობის მოწყობის ადგილად, ვთქვათ, 1964 წელს, მით უმეტეს, რომ მოსკოვში საუცხოო ახალი სტადიონია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ ნახეთ ჩვენი სტადიონი ლუჟნიკში?

ფ. კონიფი. დიახ, ჩვენ დავათვალიერეთ იგი, და ეს ჭეშმარიტად ჩინებული ნაგებობაა. როცა ჩვენ აქ ვიყავით სამი წლის წინათ, იმ ადგილას სადაც ახლა სტადიონია, რამდენიმე ძველი პატარა სახლი იდგა და სხვა არაფერი არ იყო. ახლა კი ეს რაიონი სულ სხვაგვარად გამოიყურება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, სტადიონის მრავალი ნაგებობა აშენებულია მხოლოდ წელიწადნახევარში, და ისინი, ჩვენი სპეციალისტების აზრით, გამოსადეგია ოლიმპიურ ასპარეზობათა მოწყობისათვის. ჩვენ მოხარული ვიქნებით სტუმრებად მივიღოთ ოლიმპიურ ასპარეზობათა მონაწილენი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ძალიან ბევრ სტუმარს ვიღებთ საბჭოთა კავშირში მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდანაც. ჩვენი კარი სტუმართმოყვარულად ღიაა ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის, რაც არ შეიძლება ითქვას ამერიკის შეერთებულ შტატებზე, სადაც ამერიკელ ხელისუფლებს, როგორც ჩანს, ეშინიათ შეუშვან საბჭოთა მოქალაქეები.

ვ. რ. ჰერსტმა, ფ. კონიფმა და რ. კონსიდაინმა მადლობა გადაუხადეს ნ. ს. ხრუშჩოვს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცა ესაუბრათ მასთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა დაიწყო ალჟირის საკითხის განხილვა. ეს საკითხი დააყენეს აზიისა და აფრიკის 22 ქვეყნის დელეგაციებმა და შეიტანეს ასამბლეის დღის წესრიგში საფრანგეთისა და სხვა კოლონიური სახელმწიფოების წინააღმდეგობის მიუხედავად.

თუმცა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საფრანგეთის მთავრობა ცდილობს ჩააქროს ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი ნახევარმილიონიანი არმიის დახმარებით, მაგრამ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პინომ, რომელიც დისკუსიაში გამოვიდა, სცადა საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს საფრანგეთი ყველაფერს აკეთებს, რათა ბოლო მოუღოს ალჟირის ომს მოლაპარაკების გზით. მაგრამ მან იქვე განაცხადა, რომ საფრანგეთი ვერ აწარმოებს მოლაპარაკებას აჯანყებულთა ხელმძღვანელებთან, აგრეთვე მიუღებლად მიაჩნია მოლაპარაკება ალჟირის დამოუკიდებლობის ან სუვერენიტეტის აღიარების საფუძველზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, საფრანგეთის მთავრობა მზად არის აწარმოოს „მოლაპარაკება" მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების კაპიტულაციის შესახებ, რასაც ვერ მიაღწია იარაღის ძალით.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სცადა ყოველნაირად გაეტეხა ალჟირის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა სახელი. იგი ამტკიცებდა, თითქოს ალჟირში საფრანგეთის წინააღმდეგ იბრძვიან ერთმანეთის მოქიშპე წვრილი ჯგუფები, რომლებიც არ სარგებლობენ ხალხის მხარდაჭერით. მაგრამ ამ ცილისწამებას უარყოფს უკვე ის ფაქტი, რომ ამერიკული იარაღით კარგად აღჭურვილი საფრანგეთის ნახევარმილიონიანი არმია უკვე რამდენიმე წელია ვერაფერს გახდა ეროვნული განთავისუფლების ჯარებთან.

პინომ სცადა აგრეთვე დაეშინებინა დელეგატები „დიდი საფრთხით", რასაც ვითომდა ქმნის ალჟირელ კომუნისტთა მონაწილეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მან ბრალი დასდო ტუნისს, მაროკოს, სირიასა და განსაკუთრებით ეგვიპტეს, რომ ისინი ფარულად ამარაგებენ აჯანყებულებს იარაღით და ფინანსურ და მორალურ დახმარებას უწევენ მათ.

მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი სიტყვისა, რასაც მთელი სხდომა მოუნდა, პინომ მიუძღვნა იმ რეფორმების ქებას, რომლებიც მზად არის განახორციელოს საფრანგეთმა ალჟირში იმ პირობით, თუ ალჟირელი ხალხი უარს იტყვის დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე.

სხდომის დასასრულს პინოს მოკლე პასუხი გასცეს ეგვიპტისა და სირიის დელეგატებმა. ეგვიპტის წარმომადგენელმა ლუტფიმ, შენიშნა რა, რომ იგი საფრანგეთის დელეგატს მისი სიტყვის არსის შესახებ უფრო გვიან უპასუხებს, განაცხადა, რომ ეგვიპტისა და არაბთა სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები არაფრით არ არის დამტკიცებული და არ შეესაბამება სინამდვილეს.

სირიის წარმომადგენელმა ზეინ ედ-დინმა აგრეთვე განაცხადა, რომ მისი ქვეყნისა და არაბთა სხვა ქვეყნებისათვის იარაღის მიწოდების დაბრალება არ შეეფერება სინამდვილეს.

პოლიტიკური კომიტეტის სხდომის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან მოეწყო ალჟირელი წარმოშობის მოქალაქეთა დემონსტრაცია. ისინი მოითხოვდნენ შეწყდეს ალჟირელი ხალხის ჟლეტა და მიენიჭოს ალჟირს დამოუკიდებლობა.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 28 ნოემბერი. (საკდესი). ალჟირის საკითხზე კამათის დროს მთავრობა გუშინ უმცირესობაში აღმოჩნდა, რამაც მას ახალი სიძნელეები შეუქმნა და ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა იმას, რომ მტკიცე არ არის მთავრობის კოალიცია, რომელშიც შედიან სოციალისტური პარტიის, რადიკალთა და მემარჯვენე დაჯგუფებათა წარმომადგენლები. სცადა რა მიეღწია კოალიციის ყველა წევრისათვის მისაღები კომპრომისისათვის, მთავრობამ შეიტანა შეცვლილი კანონპროექტები ალჟირში ადმინისტრაციულ-პოლიტიკური წყობის საფუძვლებისა და საარჩევნო სისტემის შესახებ. მთავრობას ორივე ეს კანონპროექტი მიაჩნდა ერთმანეთთან დაკავშირებულად და პირველი მათგანის გამო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა ნდობის საკითხი.

მაგრამ მთავრობის კოალიციის პარტიებში გათიშვა მოხდა, და ზოგიერთი ამ პარტიის ბევრმა წევრმა მხარი დაუჭირა ერთ-ერთი მემარჯვენე დეპუტატის წინადადებას გადაიდოს საარჩევნო კანონის განხილვა მანამდე, სანამ გარკვეული არ იქნება ალჟირის საარჩევნო ოლქების საზღვრები. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს აგრეთვე კომუნისტებმა, პროგრესულმა რესპუბლიკელებმა და ნაწილმა რადიკალებმა, რომლებმაც კენჭისყრა გამოიყენეს ბრძოლისათვის მთავრობის გეგმების წინააღმდეგ, რომლებიც შედგენილია ალჟირელი ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის მიუღებლად და მიზნად ისახავენ უმთავრესად საფრანგეთის კოლონიური ინტერესების შენარჩუნებას.

ამის შედეგად წინადადება საარჩევნო კანონის გამო კამათის გადადების შესახებ მიღებულ იქნა 300 ხმით 260 ხმის წინააღმდეგ. მაგრამ მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას კვლავ შეაქვს განსახილველად საარჩევნო კანონპროექტი.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა მთავრობის შემადგენლობა, რომელიც ჩამოაყალიბა ფინეთის ბანკის მთავარმა დირექტორმა ბ. რ. ფონ ფიანდტმა. ახალი მთავრობა პარლამენტის გარეშე მთავრობაა, ე. ი. მისი წევრები არ არიან პარლამენტის პარტიული ფრაქციების წარმომადგენლები.

მთავრობის შემადგენლობა ასეთია: პრემიერ-მინისტრი ბ. რ. ფონ ფიანდტი, საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ჰიუნინენი, იუსტიციის მინისტრი კ. კაირა, შინაგან საქმეთა მინისტრი უ. კიუკასი, თავდაცვის მინისტრი კ. ლეჰმუსი, ფინანსთა პირველი მინისტრი ლ. ჰიეტანენი, ფინანსთა მეორე მინისტრი ა. კარიალაინენი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ლ. კივეკიასი, განათლების მინისტრი რ. ოიტჩინენი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰ. პერტულა, გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა პირველი მინისტრი პ. კასტარი, გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მეორე მინისტრი ა. სუმუ, სოციალურ საქმეთა მინისტრი ჰ. ვარისი.

ქართული ბალეტის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება

„ოტელო" ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის სცენაზე

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი ახალი საბალეტო სპექტაკლი „ოტელო" გადაიქცა ქართული საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ზეიმად და იგი ღირსშესანიშნავ მოვლენად აღინიშნება ჩვენი საბალეტო ხელოვნების ისტორიაში.

სპექტაკლის ავტორია საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი. მის მიერ დაწერილ ლიბრეტოზე შექმნა მუსიკა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. მაჭავარიანმა. ვ. ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით განხორციელდა სპექტაკლის დადგმა და მანვე შეასრულა ოტელოს როლი.

სპექტაკლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს შესანიშნავი მხატვრული გაფორმება, რომლის ავტორია ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი, რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. ვირსალაძე. სპექტაკლს დირიჟორობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი.

მთავარ როლებს ასრულებდნენ ვ. ჭაბუკიანი (ოტელო), რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ვ. წიგნაძე (დეზდემონა) და ზ. კიკალეიშვილი (იაგო), სოლისტები მ. გრიშკევიჩი (ემილია), ე. ჭაბუკიანი (ბიანკა), ბ. მონავარდისაშვილი (კასიო).

სპექტაკლში მონაწილეობდნენ აგრეთვე რსფსრ დამსახურებული არტისტი მ. დუდკო (ბრაბანციო), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ივაშკინი (დოჟი), რ. წულუკიძე (როდერიგო), მ. გელიუსი (მონტანო) და სხვები.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს სპექტაკლის ავტორებს და მსახიობებს, მიართვეს მათ ყვავილების უამრავი თაიგულები.

ბალეტი „ოტელო" ნაჩვენები იქნება საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში.

• • •

ბალეტი „ოტელო" ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ვ. წიგნაძე (დეზდემონა), ვ. ჭაბუკიანი (ოტელო).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

რ. აბაშიძე — სსრ კავშირის ჩემპიონი

ლენინგრადი. 28 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში.

დიდი წარმატება ხვდა რ. აბაშიძეს, რომელმაც სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

მ. ლუდუშაურმა და ა. ქორიძემ ჩემპიონატში მეორე საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

ჩემპიონის მომავალი მატჩები

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის გათამაშებაში წარმატებით გამოვიდა მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

გუშინ დედაქალაქის დინამოელები გაემგზავრნენ სამხრეთ ამერიკაში, სადაც შეხვდებიან ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაისა და ჩილის გუნდებს.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ორლეანელი ქალწული, რუსთაველის სახელობის — ზვავი, მარჯანიშვილის სახელობის — ხეები ზეზეულად კვდებიან, გრიბოედოვის სახელობის — მფლანგველი, სომხური დრამის — როგორ მოვათვინიეროთ ცოლი, მუსიკალური კომედიის — დინარა, მოზარდ მაყურებელთა ქართული — გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 30, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ნამდვილი ადამიანი (5 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი — ზენიცა, ამირანი (საზამთრო) — დები, სპარტაკი — რომი 11 საათზე, თბილისი, კომკავშირელი — წყნარი დონი, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), კოლხიდა (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — ორი აღიარება, საქართველო (წითელი დარბაზი), ცენტრალური კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი — ოქროს ობობა, საქართველო (მწვანე დარბაზი), ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კოლმეურნე, ყაზბეგი — ქალის ტვირთი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი — შორეულ კუნძულზე, დიდუბე (საზამთრო) — მექსიკის სერენადა, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — წრეები მიფრინავენ, ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — ჩრდილი და სინათლე.

თბილისის „დინამოს" სტადიონი
30 ნოემბერს
ფეხბურთი
ამხანაგური შეხვედრა
„ბ" კლასის გუნდების I ნაკრები — საქართველოს ნაკრები.
დასაწყისი 3 საათზე.

თბილისის „დინამოს" სტადიონი
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის გუნდებს შორის

1 დეკემბერს
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი)
დასაწყისი 2 საათზე.

4 დეკემბერს
„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი)
დასაწყისი 3 საათზე.

5 დეკემბერს
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი)
დასაწყისი 2 საათზე.

8 დეკემბერს
„ტორპედო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
დასაწყისი 2 საათზე.

მოქალაქე **დიმიტრი სოლომონის-ძე გედევანიშვილმა**, მცხოვრებმა ნინოშვილის ქ. № 5, აღძრა საქმე ლენინის ქ. № 35 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ილიას ასულ სხირტლაძეს**თან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი იოსების-ძე კალატოზიშვილმა**, მცხოვრებმა გლინკას ქ. № 301, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ელენე მათეს ასულ პოპიაშვილ**თან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ირინე ვასილის ასულმა ცვეტკოვამ, მცხოვრებმა ქ. თბილისში, ორბელიანის ქ. № 38, აღძრა საქმე ქ. ლენინგრადში, კიროვის პროსპ. № 14 მცხოვრებ მოქალაქე **გიორგი ილიოდორის-ძე ცვეტკოვ**თან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო.

ტელეგადაცემათა პროგრამა

30 ნოემბრისათვის

19.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „საქართველოს პიონერი" № 19, 20.00 — კინოჟურნალი, 20.10 — საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილი გადაცემა, 20.30 — მხატვრული ფილმი — „ადრესატის ძებნაში".

შვილი ლეილა, სიძე გ. ბერიძე, და მარიამ ნოზაძე შვილებით იუწყებიან **სონია სიმონის ასულ ჭიჭილეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, 4 ს. ხაშურში, გამოსვენება განათლების ქ. № 70.

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივი იუწყება **თამარ გიორგის ასულ ნოზაძე-რაზმაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XI, 4 ს. სოფელ კორტანეთში (ბორჯომის რ.).

ქ. თბილისის 62-ე საშუალო სკოლის X⁴ კლასის მოსწავლეები იუწყებიან **სილოვან საჩინოს-ძე თოფურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII სოფელ ონტოფოში (აბაშის რ.).

მეუღლე მარიამ, შვილი მერი, სიძე ო. კანაშვილი შვილით, ძმა იოსებ, და ანა ოჯახებით იუწყებიან **სარქის ივანეს-ძე მანუჩაროვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, 4 ს. ქ. თელავში, გამოსვენება გვირაბის ქ. № 20

შვილები მაიკო, ნინო, ირინე ფარადაშვილები, ნინო მშველიძე ოჯახით იუწყებიან **ოლღა კირილეს ასულ ფარადაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 3 ს. ჩერნიშევსკის ქ. № 9.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ეკატერინე გიორგის ასულ ლეკიაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან **დიომიდე ყარამანის-ძე გუმბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, სოფ. როდინოულში (ზესტაფონის რ.).

და ბაბი თურქია-კვაჭაძე, ბ. გორგაძე ოჯახებით იუწყებიან **ფეოდოსია მერაბის ასულ თურქია-ანდრონიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 2 ს. მახარაძის ქ. № 3.

ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ანასეულის ჩაის საცდელი ფაბრიკის თანამშრომლები იუწყებიან **ანეტა როსტომის ასულ ამაშუკელი-ფანცხავას** გარდაცვალებას.

მეუღლე ბაბუცა, შვილები მარიამ, ალექსანდრე, რძალი მარგალიტა, სიძე ი. მუხიგული ოჯახებით იუწყებიან **ზაქარია აბრამის-ძე კორკოტაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, 2 ს. სოფელ ერთაწმინდაში (კასპის რ.).

ნინო, ელენე, არჩილ, ოლღა ფანცხავები, ქ. ჯალალოვი შვილებით იუწყებიან **ანეტა როსტომის ასულ ამაშუკელი-ფანცხავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 2 ს. წულუკიძის ქ. № 8.

შვილები კონსტანტინე, რუსუდან, რძალი რუსუდან, და თამარ, ძმები ილია, ირაკლი ოჯახებით იუწყებიან **მარიამ ბეჟანის ასულ ალიბეგაშვილი-დეკანოზიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 3 ს. მარჯანიშვილის ქ. № 49.

მამა ალექსანდრე მახათაძე, ქმარი მუკა ჟორჟოლაძე, შვილები: ნელი, მერი, ჯონდო, ნარგიზი და თამაზი იუწყებიან **ელენე ალექსანდრეს ასულ ჟორჟოლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ კვალითში, 1-XII (ზესტაფონის რაიონი).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3 62 26 რედაქტორის მოადგილეების — 3-63 03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08 67, სამდივნოსი — 3 06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3 81 84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3 20 43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-32-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80 83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03685 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.